პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ—ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი № 137 (13829) | ოთხშაბათი, 14 ივნისი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალი ჯილდოს პასუხად

მოსავალი ის არის, რაც ბეღელშია!

ზემომაჩხაანელ მემინდვრეთა ღია წერილი რესპუბლიკის მემინდვრეობის კოლმეურნეობებისადმი და საბჭოთა მეურნეობებისადმი

ძვირფასო თანამოსაქმენო, მინდვრის მშრომელებო, მექანიზატორებო!

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. მემინდვრეთათვის დაიწყო მეტად პასუხსაგები დღეები — პურეულის მკა. მოსავლის აღება და ბეღლებში დაბინავება ახლა ჩვენი პირველი რიგის ამოცანაა.

ნათქვამია — მოსავალი ის არის, რაც ბეღელშიაო. სწორედ რომ ასეა! საიუბილეო წლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლა გასული წლის შემოდგომიდანვე დაიწყო. აგროვადებში და წესების ზუსტად დაცვით დავთესეთ შემოდგომის ხორბალი, ქერი, ნათესებში დროულად შევიტანეთ სასუქები, ყოველგვარი აგროღონისძიებანი ასევე თავის დროზე ვაწარმოეთ. მოსავალს კარგი პირი უჩანს. კარზე მომდგარ მოსავალს კი დროზე აღება და დაბინავება უნდა.

მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში აღებისათვისაც დიდი შრომა გავწიეთ. სრულ მზადყოფნაშია 30 კომბაინი, 70 ავტომანქანა, მარცვლის საწმენდი მანქანები. მოვიმარაგეთ სხვა ინვენტარიც. კალოები ყველგან წესრიგშია მოყვანილი. მემინდვრეობის ბრიგადებში ყველა კოლმეურნემ იცის თავისი საქმე.

კოლმეურნეობის პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, ყველა კომუნისტმა და კომკავშირელმა დიდი ავანგარდული როლი შეასრულეს კოლმეურნეთა შორის სოცშეჯიბრების ახალი ძალით გაჩაღების საქმეში, საიუბილეო წელს უხვი და მყარი მოსავლის მიღების საქმეში, მინდვრად პოლიტმასობრივი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეში.

მემინდვრეთა საქმიანობაში დაიწყო ყველაზე პასუხსაგები პერიოდი — მოსავლის აღება. კოლმეურნეობის პურეულის ყანები, რომლებსაც 4.900 ჰექტარი უჭირავს, ერთხელ კიდევ შევამოწმეთ. საუკეთესო ყანებია. ჩვენი შესაძლებლობანი გავითვალისწინეთ, ვიანგარიშეთ და გადავწყვიტეთ, რომ ნაცვლად 9.756 ტონისა ვაწარმოოთ 10.102 ტონა მარცვლეული, ნაცვლად 1.600 ტონისა სახელმწიფოს მივყიდით 2.150 ტონას, მათ შორის 1.712 ტონა ხორბალს.

ამას წინათ ჩვენი კოლმეურნეობა ლენინის ორდენით დაჯილდოვდა. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ ზრუნავენ ჩვენი ლენინური პარტია და საბჭოთა მთავრობა კოლექტიური მეურნეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის. ეს მაღალი ჯილდო უფრო მეტს გვავალებს, დიდი პასუხისმგებლობის წინაშე გვაყენებს. ლენინის ორდენი ყოველი პატიოსანი ზემომაჩხაანელი მშრომელის გარჯით არის მოპოვებული. ამ დღეებში ამასთან დაკავშირებით სოფელში გაიმართა მიტინგი. ზემომაჩხაანელთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა ამ დიდი ჯილდოს პასუხად კვლავაც გაორკეცებული ენერგიით იშრომონ და საპატიო წვლილი შეიტანონ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელების საქმეში.

ჩვენი თხოვნაა გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ" სათანადო დახმარება გაგვიწიოს სათანადო მარაგნაწილებით და საწვავ-საცხებით, რომ შეუფერხებლად იმუშაოს ტექნიკამ, ყოველმხრივ შეგვიწყონ ხელი მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღების საქმეში.

მემინდვრეობის კოლმეურნეობათა მშრომელებო, მოდით **მთელი ძალით გავაჩაღოთ საიუბილეო წლის სოციალისტური შეჯიბრება მოსავლის 12 სამუშაო დღეში უდანაკარგოდ აღებისათვის.** არცერთი მარცვალი არ დავკარგოთ, მიღებული მარცვალი უკლებლივ დავაბინაოთ ბეღელში. აი რა არის ჩვენი სადღეისო საზრუნავი.

ნ. მამაიაშვილი — წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, მ. ნატროშვილი — პარტიული კომიტეტის მდივანი, მ. მაქლარაშვილი — კომკავშირის კომიტეტის მდივანი, შ. ნატროშვილი, — კოლმეურნეობის ინჟინერი, ვ. ბოსტოღანაშვილი — მემინდვრეობის № 2 ბრიგადის ხელმძღვანელი, თ. იაკობიშვილი — კომბაინერი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ე. ოზბეთელაშვილი — კომბაინერი.

საქართველოს დღეები მოსკოვში დამთავრდა

დღესასწაული ყრილობათა სასახლეში

საქართველოს ხელოვნების ოსტატთა დასკვნითი კონცერტი კრემლის ყრილობათა სასახლეში.

ფოტო ვ. ეგოროვისა და გ. კიკვაძისა (საკდესი. სურათი მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

მოსკოვი. 13 ივნისი. (ტელეფონით, კომუნისტის სპეც. კორ.). მთელი კვირის განმავლობაში ქართველმა მეცნიერებმა, ხელოვნების მუშაკებმა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებმა მოსკოვში ბევრი რამ ნახეს, მაგრამ, რაც მთავარია, მათ შეიძინეს მეგობრები. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ საქართველოს დღეებმა მოსკოველთა დიდი მოწონება დაიმსახურა. საკონცერტო დარბაზებში, სალექციო აუდიტორიებში ყოველთვის მრავლად იყვნენ მოსკოველები. არც ერთი შეხვედრა, არც ერთი საუბარი არ ყოფილა ინტერესს მოკლებული. მოსკოვის ერთ-ერთი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომელმა, დოცენტმა ნ. დინოჯიროვმა, რომელსაც გუშინ შევხვდით ჩაიკოვსკის საკონცერტო დარბაზში, სადაც საქართველოს ესტრადის ოსტატები გამოდიოდნენ, თქვა: **მე კარგად ვიცნობ საქართველოს, მიყვარს მისი შესანიშნავი ბუნება, კეთილი ადამიანები, სამსახურის საქმეების გამო ხშირად მიხდება საქართველოში, თბილისში ყოფნა, რის გამო ძალიან ბევრი მეგობარი და კოლეგა მყავს იქ. განსაკუთრებით ნასიამოვნები დავრჩი ამ რამდენიმე დღის განმავლობაში, რადგან საშუალება მქონდა მომესმინა ბევრი რამ. დიდი მადლობა ქართველებს ამ შესანიშნავი ხელოვნებისათვის.**

ასეთ სიტყვებს ყველგან გაიგონებდით, იმიტომ, რომ არა მგონია ვინმე დარჩენილიყო გულგრილი, როდესაც ქართველ ოსტატთა კონცერტებს და გამოსვლებს ესწრებოდნენ. ბოლოს, ამის უფლებას გვაძლევს ტაში, ოვაციები, რასაც მოსკოველები საქართველოს წარმომადგენლებს უმართავდნენ.

საქართველოს დღეები მოსკოვში დამთავრდა გრანდიოზული კონცერტით, რომელიც კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა და რომელიც შესანიშნავად დაგვირგვინდა ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილთა დიდი წარმატებით. ძნელია გადმოსცე ის აღფრთოვანება, რომლითაც მოსკოველები ხვდებოდნენ ქართულ ხელოვნებას, სიმღერებს და ცეკვებს. აქვე წინასწარ მინდა აღვნიშნო ის ღვაწლი, რომელიც გასწია პირველ რიგში კონცერტის დამდგმელმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, რსფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ **ა. ჩხარტიშვილმა**, რეჟისორმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა **ნ. ჩხეიძემ**, თბილისის მთავარმა მხატვარმა **ო. ლითანიშვილმა**, მხატვრებმა **ზ. წერეთელმა** და მ. ყიფიანმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დირიჟორმა **ჯ. გოკიელმა**, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ქორეოგრაფმა **ბ. დარახველიძემ**. ტექსტს კითხულობდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები **ჯ. ვაშაყმაძე** და **ლ. მიქაძე.**

ყრილობათა სასახლის სცენა ყვავილებით მორთავთ. კუთხეში ოქროსფრად ბრწყინავს ციფრი „50" — სახელოვანი თარიღი ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრებაში.

კონცერტის დაწყების წინ საქართველოს დღეების მონაწილეებს მიესალმა სსრკ სახალხო არტისტი, მოსკოვის პ. ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი **ა. სვეშნიკოვი**. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა **ო. თაქთაქიშვილმა.**

იწყება კონცერტი. სცენაზე გამოდის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მოცეკვავეთა გუნდი. განუწყვეტლივ გრიალებს ტაში. ბავშვების გამოსვლამ საერთო აღტაცება გამოიწვია. საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის გუნდი სსრკ სახალხო არტისტის კ. პტიცას ხელმძღვანელობით, საქართველოს სიმფონიური ორკესტრი ჯ. გოკიელის დირიჟორობით ასრულებენ ლაღიძის „კანტატას საქართველოზე". სოლისტები იყვნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი **ზ. ანჯაფარიძე** და საქართველოს სახალხო არტისტი **დ. გამრეკელი.**

სცენაზეა საერთაშორისო და საკავშირო კონკურსების ლაურეატი **ე. ვირსალაძე. სრულდება** ჩაიკოვსკის პირველი საფორტეპიანო კონცერტის ფინალი. ახმეტის რაიონის მხატვრული თვითმოქმედების ანსამბლი მეგარმონეთა თანხლებით ასრულებს ალვანურ ცეკვას. შემდეგ გამოდის დიდი თეატრის სოლისტი **მ. ქასრაშვილი**, რომელმაც იმღერა ჩიო-ჩიო-სანის არია. თბილისის უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის მხატვრული კოლექტივი ასრულებს ლაღიძის სიმღერას „თბილისს" და სოლოვიოვ-სედოის — „მოსკოვურ საღამოებს". იმ დროს, როდესაც მსახიობები გამოდიან სცენაზე, სცენის სიღრმეში განუწყვეტლივ იცვლება დეკორაციები. ეს ხან არის კინოფილმები საქართველოზე, ხან ნახატები და ფოტოები. ეს ფონი კიდევ უფრო კარგ განწყობილებას ქმნის დარბაზში.

სცენაზე არიან თელავის რაიონისა

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ბათუმელ მეჩაიეთა წარმატება

ივნისში გეგმის გადამეტებით იქნება 1.000 ტონა ჩაის ფოთოლი

ბათუმი. („კომუნისტის" საკ. კორ.). რაიონის მეჩაიეებმა შესანიშნავად იშრომეს, დაძლიეს ჭირვეული ამინდით გამოწვეული სიძნელეები და ახალი წარმატება მიუძღვნეს საიუბილეო წელს. **ბათუმელებმა ვადაზე 19 დღით ადრე შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა. მოკრიფეს 4.429 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.345 ტონისა.** ნახევარი წლის გეგმა შესრულდა 102 პროცენტით.

ამ გამარჯვებაში სერიოზული წვლილი შეიტანეს მოწინავე კოლმეურნეობებმა. ახალშენის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ალ. ვერძაძე) მეჩაიეებმა მოკრიფეს 594 ტონა „მწვანე ოქრო" ნაცვლად 510 ტონისა. სასიხარულოა ის, რომ კოლმეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე უკვე მიღებულია 3.000 ტონა ჩაის ფოთოლი. ყველა ბრიგადამ გადაჭარბებით გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება.

ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს წინსვლის, კირნათის, ჩარნალის, აჭარისწყლის, ქვედა და ზედა ჩხუტუნეთის და სხვა კოლმეურნეობებმა.

ბათუმელმა მეჩაიეებმა პირობა დადეს **ივნისში გეგმის გადამეტებით მოკრიფონ სულ ცოტა 1.000 ტონა ჩაის ფოთოლი.**

ტყიბულელები დაწინაურდნენ

ივნისში გეგმის გადამეტებით იქნება 200 ტონა ჩაის ფოთოლი

ტყიბულელმა მეჩაიეებმა, რომლებიც საიუბილეო წლის შრომითს ვახტზე დგანან, ახალი წარმატება მოიპოვეს, — აცნობეს „კომუნისტის" რედაქციას პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ქ. ლომაძემ, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. გიორგობიანმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. ჭელიშვილმა.

მეჩაიეთა თავდადებული შრომის შედეგად 10 ივნისისათვის 100,1 პროცენტით შესრულდა ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა. მოკრეფილია 2.237 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.235 ტონისა. ტყიბულელთა მიერ მოკრეფილი ნედლეულის 83 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

მეტი ჩაისათვის ბრძოლაში კარგად იმუშავეს ცუცხვათის, გურნის, ორპირის, საწირის, ძიროვნის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებმა.

ახლა ტყიბულელი მეჩაიეები განაგრძობენ მეტი ჩაისათვის ლაშქრობას. ივნისში გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცემენ 200 ტონა „მწვანე ოქროს".

გეგმა — ვადამდე

მახარაძე. დიდი იუბილესათვის მზადების დღეებში აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივმა ნაყოფიერი მუშაობით სასახელო შედეგებს მიაღწია. 1967 წლის 5 თვის სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა ფაბრიკამ 105,4 პროცენტით შეასრულა.

ძაფსალებ წარმოებაში ხამი აბრეშუმის ძაფის ამოხვევის დავალება განაღდებულია 101 პროცენტით.

ფ. ცქვიტინიძე.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება—

1967 წლის 10 ივნისისათვის (ტონობით)

	მაის-ივნისის გეგმა	ფაქტიური შესრულება	შესრულების პროცენტი
აფხაზეთის ასსრ	17180	14362	83,6
გალის	9187	7738	84,7
ოჩამჩირის	5638	4728	83,9
გუდაუთის	1684	1218	72,3
გულრიფშის	570	542	95,1
სოხუმის	151	136	90,1
აჭარის ასსრ	16590	13929	84,0
ქობულეთის	12016	9430	78,5
ბათუმის	4845	4818	99,4
ქედის	229	181	79,0
მახარაძის	19440	14993	77,1
ზუგდიდის	13150	9897	75,3
წალენჯიხის	6180	4868	78,8
ლანჩხუთის	5450	4791	87,9
გეგეჭკორის	4770	3930	82,4
ჩხოროწყუს	4310	3668	85,1
ჩოხატაურის	2950	2420	82,0
ტყიბულის საქალაქო საბჭო	2235	2237	100,1
წყალტუბოს	2244	2595	115,6
წულუკიძის	2194	1995	90,9
ცხაკაიას	2078	2100	101,3
ხობის	1885	1690	89,7
სამტრედიის	648	541	83,5
აბაშის	240	266	110,8
თერჯოლის	194	252	129,9
ჭიათურის საქალაქო საბჭო	168	170	101,2
ვანის	76	76	100,0
ზესტაფონის	23	40	173,9
ს უ ლ:	102000	84820	83,2
მათ შორის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტი	19018	15210	80,0
იყო 1966 წლის 10 ივნისისათვის	97500	107156	109,9

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

საბჭოთა კავშირ-ალჟირის მოლაპარაკება

12 ივნისს კრემლში გაიმართა საბჭოთა კავშირ-ალჟირის მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო.

ალჟირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჰ. ბუმედიენი, ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ბუტეფლიკა, რევოლუციური საბჭოს წევრი პოლკოვნიკი ა. აბასი.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში და გაგრძელდება მიმდინარე წლის 13 ივნისს.

13 ივნისს კრემლში გრძელდებოდა საბჭოთა კავშირ-ალჟირის მოლაპარაკება. გულითად მეგობრულ და ამხანაგურ ატმოსფეროში დამთავრდა იმ ვითარების განხილვა, რომელიც ახლო აღმოსავლეთში შეიქმნა არაბული ქვეყნების წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის შედეგად.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო.

ალჟირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ ალჟირის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჰ. ბუმედიენი. ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ბუტეფლიკა, რევოლუციური საბჭოს წევრი პოლკოვნიკი ა. აბასი. (საკდესი).

ჰ. ბუმედიენი სამშობლოში გაემგზავრა

ალჟირის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჰუარი ბუმედიენი, რომელიც საბჭოთა კავშირში მეგობრულ ვიზიტად იყო, 13 ივნისს სამშობლოში გაემგზავრა. მასთან ერთად გაემგზავრნენ ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ბუტეფლიკა და რევოლუციური საბჭოს წევრი პოლკოვნიკი ა. აბასი.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით იყო მორთული, ჰ. ბუმედიენი გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ი. ვ. ანდროპოვმა და ბ. ნ. პონომარიოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. ა. გრეჩკომ. (საკდესი).

უკანასკნელ საათს

სსრ კავშირი მოითხოვს

ნიუ-იორკი, 13 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დღეს მოითხოვა გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის მოწვევა. ეს მოთხოვნა იმან გამოიწვია, რომ ისრაელი განაგრძობს აგრესიას არაბული ქვეყნების წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და დასავლეთის ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლები კი უშიშროების საბჭოში საბოტაჟს უწევენ საბჭოს გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც დაგმობს აგრესიას და უზრუნველყოფს ისრაელის ჯარების გაყვანას დაპყრობილი ტერიტორიებიდან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უ ტანი დაუყოვნებლივ აცნობებს სსრ კავშირის მოთხოვნას ყველა წარმომადგენლობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. მან დასძინა, რომ თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 122 წევრიდან 62 წევრი მხარს დაუჭერს საბჭოთა კავშირის მოთხოვნას, უ ტანი 24 საათის განმავლობაში მოიწვევს გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიას.

საზღვრები ცნეს

ჰანოი, 13 ივნისი. (საკდესი). როგორც სააგენტო განთავისუფლება იუწყება, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალურმა კომიტეტმა განაცხადა, რომ ცნობს და მხარს უჭერს სამხრეთ ვიეტნამსა და კამბოჯას შორის არსებულ საზღვრებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" თბილისის საქალაქო ორგანიზაცია აწყობენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ

„საოქტომბრო კითხვას"

მოხსენებას თემაზე: **„საბჭოთა კავშირი დიდი ინდუსტრიული სახელმწიფოა"** წაიკითხავს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი რ. ი. ფრუიძე.

მოხსენება შედგება 1967 წლის 14 ივნისს დღის 4 საათზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სააქტო დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 29).

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობა.

შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

შეჯამდა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები 1967 წლის პირველი კვარტლის მუშაობის მაჩვენებლების მიხედვით.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები მიენიჭათ თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნისა" და № 6 სამკერვალო ფაბრიკის, ქუთაისის № 4 სამკერვალო ფაბრიკისა და ძაფსართავი ფაბრიკის კოლექტივებს.

მეორე ფულადი პრემიებით დაჯილდოებული არიან ბათუმის № 5 სამკერვალო ფაბრიკისა და სოხუმის № 11 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივები. მესამე ფულადი პრემიები დაიმსახურეს ქუთაისის აბრეშუმკომბინატისა და სოხუმის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივებმა. (საქდესი).

ხუთწლედის მეორე წლის პირველ კვარტალში მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს სოციალისტურ შეჯიბრებაში საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებმა.

მოსკოვიდან მიღებულია ცნობა, რომ სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსა და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიენიჭა სამტრედიის ხორცკომბინატის კოლექტივს.

შეჯამდა აგრეთვე რესპუბლიკური შეჯიბრების შედეგები. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები და პირველი ფულადი პრემიები დაიმსახურეს ცხინვალის, რუსთავისა და თელავის ხორცკომბინატთა კოლექტივებმა.

მეორე ფულადი პრემიებით დაჯილდოვდნენ წალკის მთავარი ყველ-კარაქის ქარხნისა და თეთრიწყაროს დამამზადებელი კანტორის კოლექტივები. მესამე ფულადი პრემიები დაიმსახურეს ლაგოდეხის მთავარი ყველ-კარაქის და ახალციხის ხორცკომბინატის კოლექტივებმა.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით აღინიშნა ცხინვალის, სამტრედიის, ზუგდიდის, სიღნაღის, ახალციხისა და ბოგდანოვკის მთავარი ყველ-კარაქის ქარხნების, წითელწყაროს, ტყიბულისა და ჭიათურის ხორცკომბინატთა კოლექტივების კარგი მუშაობა. (საქდესი).

ტყიბული. (საკ. კორ.). კოოპერატორებმა ამ დღეებში სასიხარულო ცნობა მიიღეს — მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით მათ მიეკუთვნათ ცეკავშირის გამგეობის, სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ეს ღირსეული ჯილდო ტყიბულელმა კოოპერატორებმა ზედიზედ ხუთჯერ მოიპოვეს.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კოოპერატორებმა მოსახლეობას მიჰყიდეს 756.600 მანეთის სამრეწველო და სასურსათო საქონელი, 71.300 მანეთით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში.

დღესასწაული ყრილობათა სასახლეში

(დასასრული).

და რუსთავის მსახიობები, რომლებმაც შეასრულეს მწყემსური ცეკვები. რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა **ი. ზაქაიძემ** იმღერა „სიმღერა სამშობლოზე“.

დ. გამრეკელი ასრულებს არიას ოპერიდან „დაისი“. ვოკალური ანსამბლი „გორდელა“ მღერის ქართულ ხალხურ სიმღერას „ჩელას“, თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლის მოსწავლე **რ. გვახალია** ვიოლინოზე სიმფონიური ორკესტრის თანხლებით ასრულებს **ბ. კვერნაძის** კონცერტს. ერთდროულად სცენის სიღრმეში თბილისის ოპერისა და ბალეტის სოლისტები **ლ. ნადარეიშვილი** და **ა. ლობჟანიძე** ცეკვავენ. დიდი ინტერესით შეხვდა მაყურებელი ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტს **ზ. სოტკილავას**, რომელმაც ბრწყინვალედ შეასრულა არია მასკანის ოპერა „სოფლის პატიოსნებიდან“. განყოფილება მთავრდება მურადელის სიმღერით „ბუხენვალდის ნაბათი“, რომელსაც ასრულებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი **თ. მუშკუდიანი** საქართველოს სიმფონიურ ორკესტრთან და გუნდთან ერთად.

შესვენებისას მრავალ მოსკოველს ვესაუბრე. კარგია, შესანიშნავია, ამბობდნენ ისინი. კომპოზიტორმა **კ. ფლიაროვსკიმ** განსაკუთრებით გამოჰყო **ე. ვირსალაძის** საშემსრულებლო ოსტატობა. მან თქვა, რომ **ე. ვირსალაძე, როგორც პიანისტი, ახლა საბჭოთა ახალგაზრდა შემსრულებელთა შორის ერთ-ერთ პირველ ადგილზე დგას.**

მეორე განყოფილება გახსნა თელავის კულტურის სახლის თვითმოქმედმა კოლექტივმა. თელაველებმა შეასრულეს ქართული ხალხური ცეკვები. ხორჩ მომღერალს **ირმა სოხაძეს** მოსკოვში უკვე კარგად იცნობენ, ამიტომ მის გამოჩენას სცენაზე ტაშით შეხვდნენ. ირმამ იმღერა ფრიჟინის სიმღერა სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, ხოლო ვოკალურ კვარტეტთან ერთად ლირიკული სიმღერა. **ა. ჩიმაკაძის** სიმღერა ფიროსმანზე შეასრულა ვოკალურმა კვარტეტმა **მ. ხატელიშვილის** ხელმძღვანელობით.

სცენაზე კვლავ საქართველოს სიმფონიური ორკესტრია, რომელიც ასრულებს ა. მაჭავარიანის „კონცერტს ვიოლინოსა და ორკესტრისათვის“. საერთაშორისო და საკავშირო კონკურსების ლაურეატს **ლ. ისაკაძეს** დიდი წარმატება ხვდა წილად.

მოსკოველებს მოეწონათ ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლის სოლისტების **ლ. ფოჩიანისა და ფ. სულაბერიძის** მიერ შესრულებული „ქართული“.

შესანიშნავი იყო საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის **პ. ამირანაშვილის** მიერ შესრულებული ჩალხიას არია ო. თაქთაქიშვილის ოპერა „მინდიადან“. მამა სცენაზე შვილმა შეცვალა. რესპუბლიკის სახალხო არტისტმა **მ. ამირანაშვილმა** შეასრულა არია ვერდის ოპერიდან „ბედისწერის ძალა“. რუსთავის კულტურის სახლის თვითმოქმედმა კოლექტივმა შეასრულა ცეკვა „ხორუმი“. დაიწყო კონცერტის დასკვნითი ნაწილი. ცეკვა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, რომ სცენაზე შემოვიდა დამსახურებული არტისტი **გ. სადარაძე**. მან წაიკითხა გალაქტიონ ტაბიძის „დროშები ჩქარა“. მოცეკვავეებს სცენაზე შემოაქვთ წითელი დროშები. სცენის სიღრმეში კი ეკრანზე მოჩანს აჭარულ ტანისამოსში გამოწყობილი მოცეკვავეთა ჯგუფი, რომელთაც წითელი დროშები მოაქვთ. სცენა ივსება ქართველი მსახიობებით, გაერთიანებული გუნდი და სიმფონიური ორკესტრი ასრულებენ ლაღიძის სიმღერას პარტიაზე, სოლისტია **ლ. ჯაფარიძე**. ეკრანზე მოჩანს ქართველი გლეხ-კაცი, რომელიც ხნულში მოაბიჯებს და თესავს ხორბალს. იგი სულ თანდათან ახლოვდება და ყველა ხედავს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, ლენინური პრემიის ლაურეატს **ს. ზაქარიაძეს**. ეკრანი ქრება, ინთება სინათლე და თითქოს ეკრანიდან შემოდის სცენაზე თვითონ ს. ზაქარიაძე, რომელიც მიესალმება მოსკოველ მაყურებელს და ქართული ხელოვნების ოსტატთა სახელით მადლობას უხდის მასპინძლობისათვის, უსურვებს წარმატებებს შრომასა და პირად საქმიანობაში.

საზეიმო კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები **გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, კ. ტ. მაზუროვი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. თ. უსტინოვი, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი.**

დარბაზში იყვნენ აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **დ. გ. სტურუა**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. მ. სირაძე**, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი **ე. ა. ფურცევა**.

დიდხანს არ დამცხრალა ტაში ამ საღამოს კრემლის ყრილობათა სასახლეში.

ო. ლორთქიფანიძე.

მშვენიერია საბჭოთა საქართველოს კულტურა

მოსკოვი, 13 ივნისი. (საქდესის სპეციალური კორესპონდენტები). სასიამოვნო მოვლენით დაიწყო დღევანდელი დღე მოსკოვში საბჭოთა საქართველოს კულტურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეთათვის. სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნაში“ გაიმართა დელეგაციის შეხვედრა საზოგადოების კოლექტივთან. აქ წაიკითხეს ბრძანებულება იმის შესახებ, რომ დელეგაციის წევრები დაჯილდოებული არიან საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის მადლობის სიგელებით.

11 საათზე ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეთა ერთი ჯგუფი მიიღო სკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის კოლექტივმა. საქტო დარბაზში ინსტიტუტის კოლექტივმა შეხვედრა მოუწყო მოსკოვში კულტურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეთ.

შეხვედრა გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა **პ. ფედოსეევმა**. მან თქვა:

— მეგობრების ჩამოსვლა ყოველთვის სასიხარულოა. რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობას ღრმად აქვს გადგმული ფესვები წარსულში. ამ მეგობრობას საკუთარი მაგალითით განამტკიცებდნენ და სიმბოლურად გამოხატავდნენ ალექსანდრე გრიბოედოვი და ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ჩერნიშევსკი და ნიკო ნიკოლაძე, ვლადიმერ მაიაკოვსკი და მაქსიმ გორკი. ჩვენი ხალხების მეგობრობის ისტორია მდიდარია ასეთი ბრწყინვალე სახელების თანავარსკვლავედით. ეს მეგობრობა განსაკუთრებით გაიფურჩქნა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველო გადაიქცა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს სამეცნიერო ცენტრად. ქართველი მეცნიერები ამუშავებენ ცოდნის თითქმის ყველა დარგის მეცნიერულ პრობლემებს.

ბრწყინვალე წარმატებანი მოიპოვეს ქართველმა ფსიქოლოგებმა და ფიზიოლოგებმა. მათ დააყენეს და შეისწავლეს სრულიად ახალი, მეცნიერების მიერ გამოუკვლევი პრობლემები. ამ პრობლემების გადაწყვეტა მთელ მსოფლიოში ქართველ ფსიქოლოგთა და ფიზიოლოგთა სკოლის დამსახურებად მიაჩნიათ. აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის სახელი ფართოდაა ცნობილი ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ქართულმა მათემატიკურმა სკოლამ დიდი ხანია საყოველთაო აღიარება დაიმსახურა. ძნელია ჩამოთვალოთ ქართველ მეცნიერთა მიღწევები. ეს მიღწევები მოპოვებულია ატომური ფიზიკის, ასტრონომიის, გეოფიზიკისა და გეოლოგიის, მედიცინისა და მიწათმოქმედების კულტურის დარგებში. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა ერთ-ერთმა პირველმა დაძლია დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — მეცნიერულად დაამუშავა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ისტორია.

უდიდესი მიღწევები აქვს ქართველ ხალხს კულტურის დარგშიც. ყველას გვახსოვს გასული წლის შემოდგომის დღეები, როცა საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა საზეიმოდ აღნიშნავდა ქართველი ხალხის გენიალური შვილის შოთა რუსთაველის იუბილეს. დიდი ჰუმანისტის, პოეტისა და მოაზროვნის ტრადიციას წმიდად ინახავს და ამრავლებს ქართველი ხალხი და მასთან ერთად ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხი.

საბჭოთა ხელისუფლების 50 წლის მანძილზე ქართველმა მწერლებმა, კინემატოგრაფისტებმა, მხატვრებმა, კომპოზიტორებმა შექმნეს ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები, რომლებიც მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა საკუთრებად იქცა.

ლობს. სასიხარულო წარმატებანი გვაქვს მეცნიერების განვითარებაში. ახლა ჩვენში 186 ინსტიტუტი და სხვა სამეცნიერო დაწესებულებაა. შექმნილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველო მეფის რუსეთის ჩამორჩენილი განაპირა მხარიდან გადაიქცა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკად.

დღეს განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ 1965, 1966, 1967 წლები ჭეშმარიტად ღირსშესანიშნავი წლებია რესპუბლიკის ცხოვრებაში. 1965 წლის დეკემბერში საქართველო დაჯილდოვდა მეორე ლენინის ორდენით. იმ დღეებს, როცა მთავრობის ამ მაღალი ჯილდოს გადმოსაცემად თბილისში ჩამოვიდა სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი**, არასოდეს არ დაივიწყებენ ქართველი ხალხი, რესპუბლიკის მშრომელები.

საქართველოს მშრომელებმა ამ წარმატებებს მიაღწიეს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისა და უწინარეს ყოვლისა დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარების შედეგად. მეგობრობა წარმატებების საწინდარია, მეგობრობაა ჩვენი დიადი სამშობლოს ძალისა და ძლიერების წყარო.

შესანიშნავია საბჭოთა საქართველოს მიღწევები დღეს. დარწმუნებული ვართ, რომ ქართული მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების მომავალი კიდევ უფრო მშვენიერი იქნება.

მოსკოვში საქართველოს კულტურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეთა სახელით სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **დ. სტურუამ**, რომელმაც მადლობა გადაუხადა ინსტიტუტის კოლექტივს გულთბილი, გულითადი მიღებისათვის. მან აღნიშნა, რომ ასეთი შეხვედრები გვამდიდრებს, გვეხმარება უკეთ ვიცხოვროთ და ვიშრომოთ, უფრო წარმატებით განვახორციელოთ კომუნისტური პარტიის ისტორიული წინასწარმეტყველობანი.

ამხ. სტურუას მოჰყავს საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის ზრდის დამადასტურებელი ციფრები, რომლებიც მოწმობენ რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის და ინტელიგენციის თავდადებულ შრომას. უჩვეულო გაქანებით ვითარდება საქართველოში სახალხო განათლება. აქ ყოველი მეოთხე მოქალაქე სწავლობს.

დასასრულ დ. სტურუამ თქვა: ქართველმა კომუნისტებმა დამავალეს თქვენი ინსტიტუტის კოლექტივს გულითადად და მხურვალედ მივესალმო. ეს ინსტიტუტი მათ პარტიული სიწმინდის ციტადელად, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ერთგულების, ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის **ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის** ანდერძის ერთგულების ციტადელად მიაჩნიათ.

დასასრულ ქართული ესტრადის მსახიობებმა სკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თანამშრომელთა კოლექტივისათვის გამართეს დიდი კონცერტი.

* * *

საქართველოს დღეები მოსკოვში. სურათზე: საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი სამახსოვრო სუვენირს გადასცემს სსრ კავშირის განათლების მინისტრს მ. პროკოფიევს.

ფოტო საქდესის ფოტოქრონიკის სპეციალური კორესპონდენტის **გ. კიკვაძისა.**

ჩვენი საიუბილეო სამზადისი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავების აღნიშვნა ყოველთვის ახარებდა საბჭოთა ადამიანებს, მაგრამ საიუბილეო 50 წლისთავი მათში განსაკუთრებულ აღფრთოვანებას იწვევს.

როცა ამ დიადი დღესასწაულისათვის მზადების დღეებში ზუგდიდის რაიონის მშრომელები ავლებენ თვალს მათ მიერ განვლილ გზას, უდიდესი სიამაყის, მადლიერების გრძნობით იმსჭვალებიან მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სამშობლოს მიმართ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ზუგდიდი უკიდურესად ჩამორჩენილ სასოფლო-სამეურნეო მაზრას წარმოადგენდა. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურა იყო სიმინდი, რაც დიდი ვაივაგლახით მოჰყავდა აქაურ გლეხს. მრეწველობის ავლა-დიდებას შეადგენდა სოფელ ნარაზენის არყისსახდელი ქარხანა, რომელიც გერმანელ მეწარმეს ეკუთვნოდა, და რამდენიმე კუსტარული სახელოსნო.

დღეს ზუგდიდის რაიონში 25-ზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმოა, რომლებმაც შარშან 57 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია გამოუშვეს. ამასთან საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის მომხმარებელია ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკა.

რაიონი რესპუბლიკის მეჩაიეობის ერთ-ერთი მთავარი ბაზაა. შარშან აქ დამზადდა 29.220 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სასოფლო-სამეურნეო წარმოება გადაიქცა სოციალისტური ეკონომიკის წამყვან დარგად, რომლის განკარგულებაშია მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები. მარტო კოლმეურნეობები ფლობენ 550-მდე ტრაქტორსა და 300-მდე ავტომანქანას.

საამაყოა ის ფაქტი, რომ ჩაის საკრეფმა მანქანამ „საქართველომ“ სწორედ ჩვენი რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში წარმატებით ჩააბარა გამოცდა და ცხოვრების საგზური მიიღო. მექანიზებულმა კრეფამ შრომა შეუმსუბუქა ასობით კოლმეურნესა და მუშას. შარშან მანქანებით მოიკრიფა 3.697 ტონა ჩაის ფოთოლი.

გასულ წელს ჩაის გარდა დამზადდა 288 ტონა აბრეშუმის პარკი, 19.323 ცენტნერი რძე, 9.860 ცენტნერი ხორცი, ერთ მილიონ ცალამდე კვერცხი, 1.608 ტონა ყურძენი, 1.280 ტონა დაფნის ფოთოლი, 1.200 ტონაზე მეტი ტუნგო, 105 ტონა მანდარინი და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულებაში, სამელიორაციო სამუშაოთა განხორციელებაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის მეცნიერული კვლევის შემუშავებასა და დანერგვაში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ჩვენი ქვეყნის 110 საბჭოთა მეურნეობასთან ერთად ლენინის ორდენით დაჯილდოებულ იქნა ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა. გასულ სამეურნეო წელს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებისათვის სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველომ“ მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, ხოლო ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა დაჯილდოებულ იქნა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. მთლიანად ზუგდიდის რაიონი დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილედ.

ეკონომიკის წარმატება განუყრელად არის დაკავშირებული ხალხის კულტურის ამაღლებასა და განვითარებასთან. 100-მდე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლობს 22 ათასზე მეტი მოსწავლე. ადამიანთა ყოფაში მტკიცედ შევიდა გაზეთი, ჟურნალი, წიგნი, რადიომიმღები, ტელევიზორი. რაიონში გამოდის 6 ნაბეჭდი გაზეთი, მოსახლეობას გამოწერილი აქვს 102 ათასი ეგზემპლარი ჟურნალი და გაზეთი.

წლითიწლობით იზრდება მშრომელთა კეთილდღეობა, ლამაზდება და კეთილმოწყობილი ხდება სოფლები. დიდ წარმატებას მიაღწია სახალხო ჯანმრთელობის დაცვამ. თუ 1927 წელს რაიონში იყო მხოლოდ 11 ექიმი და 38 საშუალო განათლების მქონე მედიცინის მუშაკი, ამჟამად 65 სამკურნალო დაწესებულების საქმიანობას წარმართავს 230 ექიმი და საშუალო მედპერსონალის 800-ზე მეტი მუშაკი.

კურორტ ცაიშის სანატორიუმსა და საავადმყოფოებში ჯანმრთელობას აღიდგენს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ათასობით მშრომელი.

რაიონის მშრომელები საიუბილეო წელს მომავლის ნათელი გეგმებით ილვწიან. იუბილესათვის მზადების კონკრეტულ ამოცანებზე ვიმსჯელეთ რაიონის პარტიული აქტივის ფორუმზე, პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, რაიკომის ბიუროზე; კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში შემუშავებულია დღესასწაულისათვის მზადების კონკრეტული გეგმები. სადღესასწაულო სამუშაოთა კოორდინაციისათვის შექმნილია სპეციალური საიუბილეო კომისია.

რაიონის მშრომელებს სურთ იუბილეს საჩუქრად მიუძღვნან თავიანთი შრომისა და შემოქმედების საუკეთესო ნაყოფი.

სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებს შორის სოციალისტური შეჯიბრების დროშა პირველმა აღმართა სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველომ“. მისი ვალდებულებაა წელს გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 275 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და ჩაის წარმოება აიყვანოს 2.200 ტონამდე, გარდა ამისა რუხელები სახელმწიფოს მიჰყიდიან 160 ცენტნერ აბრეშუმის პარკს, საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღებენ 2.000 კილოგრამ რძეს, კოლმეურნეობის ფულად შემოსავალს აიყვანენ 2 მილიონ მანეთამდე.

სოფლად ხორცს შეისხამს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ფართო გეგმები.

რუხელთა ამ მაგალითს მიბაძეს სხვა კოლექტივებმაც, შემდეგ კი სადღესასწაულო წლის მიჯნები განსაზღვრა მთლიანად რაიონმა.

სოფლის მეურნეობის მუშაკები წელს სახელმწიფოს მიჰყიდიან 27 ათას ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს (გეგმით გათვალისწინებული 25.785 ტონის ნაცვლად), დაამზადებენ 1.715 ტონა ყურძენს, 100 ტონა მანდარინს, 1.460 ტონა სიმინდს, 970 ტონა ხორცს, 1.970 ტონა რძეს და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს.

ეს ამოცანები მჭიდროდ უკავშირდება კოლექტივების სოციალისტური განვითარების გეგმებს, მუშა-მოსამსახურეთა ტექნიკური, კულტურული და პოლიტიკური დონის ამაღლებას, შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

ასე მაგალითად; მშენებლები დღესასწაულისათვის ააშენებენ და საექსპლოატაციოდ გადასცემენ 8.300 კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს, ახალ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებს, ჯანმრთელობისა და განათლების კერებს. 250 ათას კვადრატულ მეტრზე დააგებენ ასფალტს. ბევრი რამ კეთდება რაიონის კეთილმოწყობისა და სადღესასწაულო გაფორმების მიზნით.

პარტიული ორგანიზაციები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ მასებში პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებსა და სკოლებში ეწყობა ლექციები, მოხსენებები, შეხვედრები რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანებთან.

მასობრივ-პოლიტიკურ და პროპაგანდისტულ მუშაობაში ვცდილობთ ადამიანებს ვაჩვენოთ ოქტომბრის იდეების განხორციელების კონკრეტული შედეგები. და ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობისათვის. სკოლების კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებს პოპულარობით სარგებლობს ზეპირი ჟურნალები „მამათა გზით“, „ისინი ჩვენი ბედნიერებისათვის იბრძოდნენ“.

ამას წინათ სახელმწიფო თეატრში მოვაწყეთ ახალგაზრდა კომუნისტთა შეხვედრა რევოლუციის ვეტერანებთან. ახალგაზრდებმა მოისმინეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ი. მირცხულავას მოხსენება „ქართველი ბოლშევიკების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის“, კულტურის წინაშე [illegible] გამოვიდნენ ოქტომბრის რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ვეტერანები [illegible] ხვიჩია.

ახალგაზრდობასთან მუშაობის კარგი ფორმები გამოიმუშავეს ინგირისა და ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობების პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საყურადღებო ღონისძიებები განხორციელდა ჭაქვინჯში, კორცხელში, ახალსოფელში, ორჯონიკიძეში. ვცდილობთ, რომ ასეთ პოლიტიკურ ღონისძიებებს კონკრეტული, თვალსაჩინო აღმზრდელობითი ხასიათი ჰქონდეს. მათ არა მარტო ნათელი უნდა მოჰფინონ ოქტომბრის რევოლუციის გმირთა სახელებს, არამედ აგრეთვე ღრმად გააშუქონ ჩვენი რაიონის თვითეული სოფლის, თვითეული კოლმეურნეობის მიღწევები სოციალისტურ მშენებლობაში. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენი რაიონის ცალკეული სოფლებისა და კოლექტივების ისტორიის შექმნას. ამ მიზნით ვაზუსტებთ საკოლმეურნეო მოძრაობის ინიციატორთა, სოციალისტური გარდაქმნების ენთუზიასტთა სახელებს. სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ივსება ახალი მასალებით, უმჯობესდება დარბაზების მხატვრული გაფორმება, მდიდრდება რევოლუციური და საბჭოთა პერიოდის ამსახველი ექსპოზიცია.

სოფლებში მთლიანად ახლდება თვალსაჩინო საშუალებები. მათში ნაჩვენები იქნება ის კონკრეტული საქმეები, რითაც ხვდებიან ცალკეული საზოგადოებრივი მეურნეობები დიდად დღესასწაულს. გამოვაცხადეთ ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად კედლის გაზეთების კონკურსი-დათვალიერება.

იუბილესათვის მზადებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. მოეწყო მხატვრული თვითმოქმედების რაიონული ფესტივალი. წარმატება ხვდათ მასწავლებლის სახლის, რაიკოოპკავშირის, კახათის, რიყის, კორცხელის, ოდიშის, რუხის კოლმეურნეობების თვითმოქმედ მხატვრულ კოლექტივებსა და ბრიგადებს. ამჟამად ვემზადებით რესპუბლიკურ დათვალიერებაში მონაწილეობის მისაღებად.

საიუბილეო წელს სისტემატურად მოეწყობა თვითმოქმედი კოლექტივების ფესტივალები, მასობრივი ზეიმები, სახალხო სეირნობანი. შემოქმედებით დაწესებულებათა და ორგანიზაციათა პარტიული ორგანიზაციები ზრუნავენ იმისთვის, რომ საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისათვის მზადების პერიოდში მნიშვნელოვნად აამაღლონ მათი როგორც მხატვრულ-შემოქმედებითი, ისე იდეური დონე.

ზუგდიდის რაიონის მშრომელები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ახლა შრომობენ და იღვწიან იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავს.

ბ. კვარაცხელია,

საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი.

პირველად რესპუბლიკაში

გამოუყენებელი რეზერვები — სახალხო მეურნეობის სამსახურში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებით 1967 წლის 13-დან 17 ივნისამდე ჩვენს რესპუბლიკაში პირველად ეწყობა სარესპუბლიკათაშორისო ბაზრობა-შეხვედრა ზედმეტი და გამოუყენებელი მასალებისა და მოწყობილობის რეალიზაციისათვის.

ბაზრობაში მონაწილეობას მიიღებს ყველა მოკავშირე რესპუბლიკა, აგრეთვე საქართველოს სსრ სამინისტროები, უწყებები, საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებსაც ზედმეტი მასალები და მოწყობილობა აქვთ ან ასეთების შეძენა სურთ.

უნდა ითქვას, რომ ჩვენს რესპუბლიკაში სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების საწყობებსა და ბაზებში მნიშვნელოვანი რაოდენობით დაგროვდა მათთვის არასაჭირო მასალები და მოწყობილობა, რომლებიც წლობით გამოუყენებელია, თავის ტექნიკურ თვისებებს კარგავს და მნიშვნელოვან ფინანსურ სიძნელეებს უქმნის საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

ამავე დროს კი, თუ ზოგ ორგანიზაციას ეს მასალები არ სჭირდება, სხვები მათ ნაკლებობას განიცდიან.

სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები ჯეროვან ინიციატივას არ იჩენენ ზედმეტ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციისათვის, რის შედეგად მათი რაოდენობა წლითიწლობით იზრდება.

მაგალითად, 1967 წლის 1 იანვრისათვის რესპუბლიკურ და საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროთა და უწყებათა ზედმეტი მასალებისა და მოწყობილობის ღირებულებამ 3,4 მილიონი მანეთი შეადგინა. ა. წ. 1 აპრილისათვის ეს თანხა კიდევ უფრო გადიდდა.

ასეთივე მდგომარეობაა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებშიც.

განსაკუთრებით დიდი ნაშთებია მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, „საქკონსერვხილბოსტნის“ მთავარი სამმართველოს, ქიმიური მრეწველობის სამმართველოსა და რესპუბლიკის სხვა ორგანიზაციების ხაზით.

მიმდინარე წელს ჩვენი სამრეწველო საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ მეთოდზე გადავა.

როგორც ცნობილია, ამ გადასვლისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეკონომიურ ფაქტორებს.

მუშაობის ახალი მეთოდის დროს საწარმოები გადასახადს გადაიხდიან ძირითად საშუალებათა გამოყენებისათვის და რაც უფრო მეტი იქნება საწარმოში უმოქმედო ძირითადი საშუალებანი, მათ შორის ზედმეტი მასალები და მოწყობილობაც, — მით უფრო მეტი ფინანსური სიძნელეები ექნება საწარმოს.

მაშასადამე, ასეთ საწარმოებს განსაკუთრებით სჭირდებათ მიიღონ ღონისძიებანი ზედმეტი, მათთვის არასაჭირო მასალებისა და მოწყობილობის რეალიზაციისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს ფერადი ლითონების რესურსების მობილიზაციის სამმართველო გარკვეულ მუშაობას ეწევა იმისათვის, რომ დახმარება გაუწიოს რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს ზედმეტ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციაში, ფართო ინფორმაციის გზით. ამ მიზნით სამმართველო სისტემატურად უშვებს მასობრივი ტირაჟებით ბიულეტინებს ზედმეტი მასალებისა და მოწყობილობის ნუსხით და უგზავნის მათ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, როგორც რესპუბლიკის შიგნით, ისე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც.

მთავრობის გადაწყვეტილებით მიმდინარე წელს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში გაიხსნება სპეციალური უნივერსალური მაღაზიები, რომლებიც წვრილმანბითუმად იყაჭრებენ მასალებითა და მოწყობილობით.

საწარმოებს, დაწესებულებებსა და სხვა ორგანიზაციებს — ფონდების მფლობელთ შეუძლიათ ამ მაღაზიებში შეიძინონ სხვადასხვა მასალები და მოწყობილობა უნაღდო ანგარიშსწორებით.

შემდეგში მომხმარებელთათვის ამ მასალებისა და მოწყობილობის მიწოდება თვით მაღაზიების ძალებითა და სახსრებით განხორციელდება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ეს მაღაზიები საწარმოებისაგან მიიღებენ ზედმეტ, მათთვის არასაჭირო მასალებსა და მოწყობილობას საკომისიო საწყისებზე სარეალიზაციოდ.

ზედმეტ მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის ერთ-ერთი ეფექტური შესაძლებლობაა ბაზრობათა მოწყობა, რომლებზეც სამინისტროებსა და უწყებებს შეუძლიათ მოახდინონ თავიანთი ზედმეტი მასალების რეალიზაცია, აგრეთვე შეიძინონ მათთვის საჭირო მასალები და მოწყობილობა.

ბაზრობაზე, რომელიც გუშინ საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე გაიხსნა, ფართო ასორტიმენტით არის წარმოდგენილი მასალები და მოწყობილობა.

ვფიქრობთ, რომ სამეურნეო ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელები ჯეროვანი სერიოზულობით მოეკიდებიან ამ დიდმნიშვნელოვან სახალხო-სამეურნეო ღონისძიებას.

ი. ჩიაევი,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე.

მაღალი ჯილდო

ნოვგოროდი, 10 ივნისი (საქდესის სპეც. კორ.). დღეს დრამის საოლქო თეატრში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ნოვგოროდის ოლქისათვის ლენინის ორდენის გადაცემას. ლენინის ორდენით ოლქი დაჯილდოვდა დიდი სამამულო ომის წლებში გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ პარტიზანულ მოძრაობაში ოლქის მშრომელთა აქტიური მონაწილეობისა და გამოჩენილი მამაცობისათვის, და სახალხო მეურნეობაში მოპოვებული წარმატებებისათვის.

საპატიო ჯილდო გადასცა სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა. სკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით მან გულთბილად მიულოცა ოლქის მშრომელებს.

საზეიმო კრების მონაწილეებმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს სკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

წარმატებებისათვის, რომლებიც ოლქის მშრომელებმა მოიპოვეს მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებასა და კულტურულ მშენებლობაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ყაზახეთის სს რესპუბლიკის ალმოსავლეთ ყაზახეთის ოლქი დააჯილდოვა ლენინის ორდენით.

წარმატებებისათვის, რომლებიც ოლქის მშრომელებმა მოიპოვეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მსხვილი სამრეწველო და ენერგეტიკული კომპლექსების შექმნაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ირკუტსკის ოლქი დააჯილდოვა ლენინის ორდენით.

(საქდესი).

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

სამკურნალო და საბავშვო დაწესებულებათა მატერიალური უზრუნველყოფისა და სამეურნეო მომსახურების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა განიხილა რესპუბლიკის სამკურნალო და საბავშვო დაწესებულებათა მატერიალური უზრუნველყოფისა და სამეურნეო მომსახურების მდგომარეობის საკითხი. აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანს მკვეთრად გაუმჯობესდა საავადმყოფოებისა და საბავშვო დაწესებულებების მატერიალური უზრუნველყოფა და სამეურნეო მომსახურება. შეიქმნა პირობები იმისათვის, რომ სავსებით დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნები კვების პროდუქტებზე, ინვენტარზე, მოწყობილობაზე, ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე.

ამასთან მთელ რიგ საავადმყოფოებში, სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში სერიოზული ნაკლოვანებანია. ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების, მომარაგების, დამზადების ადგილობრივი ორგანოები და სავაჭრო ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ საბავშვო დაწესებულებებისა და საავადმყოფოების უზრუნველყოფას კვების პროდუქტებით, ჯეროვნად არ ზრუნავენ საჭირო საყოფაცხოვრებო და ჰიგიენური პირობების შექმნისათვის, აფერხებენ საავადმყოფოების მომარაგებას ზოგიერთი მედიკამენტით.

მაგალითად, ცხაკაიას ბავშვთა საავადმყოფოს 1966 წელს დააკლეს ხორცისა და ბოსტნეულის განკუთვნილი რაოდენობის ნახევარი, დიდძალი კარაქი და კარტოფილი.

ხაშურის რაიონის 13 შემოწმებულ ბავშვთა დაწესებულებასა და საავადმყოფოში 1966 წელს ვერ აითვისეს მთელი რიგი პროდუქტების 30-50 პროცენტი, რომლებიც ნორმით იყო განკუთვნილი. ულუფაში სრულებით არა ყოფილა შეტანილი თევზი. გამოყენებული არ არის მნიშვნელოვანი რაოდენობით კარაქი.

სურამის საბავშვო სანატორიუმს დააკლეს ნორმით გათვალისწინებული ხორცის, რძის დაახლოებით ნახევარი, მენიუში შეტანილი არ იყო რძის პროდუქტები.

ქუთაისის 46 საბავშვო და სამკურნალო დაწესებულებას, რომლებიც შეამოწმეს, 1966 წელს დააკლეს წლიური ნორმით გათვალისწინებული პროდუქტების დაახლოებით ნახევარი.

გუმათის სკოლა-ინტერნატში, სადაც კვების ორგანიზაცია დავალებული აქვს ქუთაისის სასადილოთა ტრესტს, ყოველ დღე არ მიაქვთ პური და, თუმცა ქალაქი უზრუნველყოფილია რძითა და რძის პროდუქტებით, სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებს აკლებენ ამ პროდუქტებს. გარდა ამისა, ინტერნატის ხელმძღვანელობამ მნიშვნელოვანი თანხა დახარჯა ძვირადღირებული პროდუქტების შესყიდვისათვის.

საქვაჭრობის ახალციხის განყოფილებამ 12 შემოწმებულ საავადმყოფოსა და საბავშვო დაწესებულებას 1966 წელს დააკლო პროდუქტების 30-60 პროცენტი, ხოლო ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელები შეურიგდნენ ასეთ მდგომარეობას.

თბილისის კალინინის რაიონში საბავშვო ბაღებისა და ბაგების აღსაზრდელებს, აგრეთვე ორჯონიკიძის რაიონის № 9, 47, 97 საბავშვო ბაღებს შარშან არც ერთხელ არ მიუღიათ თევზეული, არ აუთვისებიათ სხვა საჭირო პროდუქტების ნაწილი.

უხეშად არღვევენ კვების ნორმებს აჭარის საბავშვო რესპუბლიკურ საავადმყოფოში. არადამაკმაყოფილებლად ამარაგებენ პროდუქტებით კლინიკურ და რკინიგზის საავადმყოფოებს, ბათუმის, ქობულეთისა და ქედის რაიონის საბავშვო დაწესებულებებსა და საავადმყოფოებს.

ასეთივე მდგომარეობაა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქალაქ რუსთავში, თეთრი წყაროს, გეგეჭკორის, ლაგოდეხის, მცხეთის, დუშეთისა და ყვარლის რაიონებში.

შემოწმებამ ცხადყო, რომ ავადმყოფთა და საბავშვო დაწესებულებათა აღსაზრდელების კვების ნორმების უხეში დარღვევა, მათთვის დიდძალი კვების პროდუქტების დაკლება იმის შედეგია, რომ ვაჭრობის სამინისტროსა და „ცეკავშირის“ სისტემის ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციები არ უზრუნველყოფენ საჭირო რაოდენობისა და ასორტიმენტის კვების ზოგიერთი პროდუქტით შეუფერხებელ მომარაგებას. გარდა ამისა, საავადმყოფოებსა და საბავშვო დაწესებულებებს მათი ხელმძღვანელების თანხმობით აძლევენ ძვირადღირებულ პროდუქტებს, რომლებიც გათვალისწინებული არ არის კვების ნორმებით.

ასეთი ფაქტები არის ხაშურის ამიერკავკასიის რკინიგზის საბავშვო სახლში, ახალციხის რვაწლიან სკოლა-ინტერნატსა და რაიონულ საავადმყოფოში.

რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებში უხვად არის კარაქი და ზეთი, ბურღულეული და მაკარონი, შაქარი. მაგრამ ბევრი საავადმყოფო და ბავშვთა დაწესებულება ყოველთვის როდი უზრუნველყოფს ამ პროდუქტების ათვისებას.

სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოები, ზოგიერთი საავადმყოფოსა და ბავშვთა დაწესებულების ხელმძღვანელები არა მარტო არ ცდილობენ გააუმჯობესონ საქვეუწყებო დაწესებულებათა მომარაგება კვების პროდუქტებით, არამედ სწორ ცნობებსაც კი არ აწვდიან რესპუბლიკური ვაჭრობის ორგანოებს საქმის ნამდვილი ვითარების შესახებ. რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებათა გამგეები ს. როსნაძე და ზ. ნადირაშვილი 1966 წელს ყოველთვიურად ატყობინებდნენ სავაჭრო ორგანიზაციებს, რომ სამკურნალო და ბავშვთა დაწესებულებებს კვების პროდუქტებით მომარაგების გამო პრეტენზიები არ ჰქონდათ. ამავე დროს, შემოწმებულმა 13 საავადმყოფომ და ბავშვთა დაწესებულებამ სავაჭრო ორგანიზაციებისაგან ვერ მიიღო ნორმით გამოყოფილი პროდუქტების 30-50 პროცენტი.

ზოგიერთი საავადმყოფოსა და ბავშვთა დაწესებულების მუშაკები ითვისებენ მენიუს მიხედვით გაცემული პროდუქტების ნაწილს.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომთა სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებანი ნაკლებად სწავლობენ, თუ რა მოწყობილობა და ინვენტარი ესაჭიროებათ საქვეუწყებო დაწესებულებებს, ხოლო მთელი რიგი საავადმყოფოებისა და ბავშვთა დაწესებულებების ხელმძღვანელები იჩენენ უდარდელობასა და უყაირათობას, რაციონალურად არ იყენებენ სახსრებს.

ასეთი ფაქტები არის აჭარის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, გარდაბნის რაიონის გლდანის სკოლა-ინტერნატში, კოჯრის № 3 საბავშვო სახლში, ყვარლის რაიონულ საავადმყოფოში.

ზოგიერთი რაიონის სამკურნალო დაწესებულებანი საკმარისად არ არიან უზრუნველყოფილი მედიკამენტებითა და სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებებით.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა განიხილა სამკურნალო და საბავშვო დაწესებულებათა მატერიალური უზრუნველყოფისა და სამეურნეო მომსახურების მდგომარეობის საკითხი და რესპუბლიკის განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებს წინადადებით მიმართა გადამჭრელი ღონისძიებანი განახორციელონ შემოწმების შედეგად აღმოჩენილი ნაკლოვანებებისა და დარღვევების აღმოსაფხვრელად, გააძლიერონ სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა და მომთხოვნელობა.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის გამგეობამ გადაუდებელი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ საავადმყოფოებისა და საბავშვო დაწესებულებების კვების პროდუქტებით უზრუნველსაყოფად, არ უნდა დაუშვან შეფერხება მომარაგებაში.

საქართველოს **პროფსაბჭომ** საქართველოს განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის სამინისტროებთან, სამომხმარებლო კოოპერაციასთან, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად უნდა მოაწყონ საავადმყოფოების, სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების, ბაღებისა და ბაგების მატერიალური უზრუნველყოფისა და სამეურნეო მომსახურების მდგომარეობის რესპუბლიკური დათვალიერება.

რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო კონტროლის კომიტეტებმა უნდა გააქტიურონ სახალხო კონტროლის ჯგუფების მუშაობა სკოლა-ინტერნატებსა და საავადმყოფოებში, მეტი ყურადღება დაუთმონ საავადმყოფოებისა და საბავშვო დაწესებულებების მუშაობის საკითხებს, მათ მატერიალურ უზრუნველყოფასა და სამეურნეო მომსახურებას.

ის პირნი, ვინც სერიოზული დარღვევები დაუშვეს სამკურნალო და საბავშვო დაწესებულებათა მატერიალური უზრუნველყოფისა და სამეურნეო მომსახურების საქმეში, სათანადოდ დაისაჯნენ. (საქდესი).

საქდესის ცნობა

მიფრინავს „კოსმოსი-165“

1967 წლის 12 ივნისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-165“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საქდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაუშვებულია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

მიმოქცევის საწყისი პერიოდი — 102,1 წუთი;

მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 1542 კილომეტრი;

მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 211 კილომეტრი;

ორბიტის დახრილობა — 81,9 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე არის: რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის, რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოების და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

მხურვალე მოწონება

საკავშირო პროფსაბჭოს განცხადება

საბჭოთა კავშირის მშრომელთა სახელით საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭო მხურვალედ იწონებს საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ.

ისრაელის მთავრობა აშკარა სამხედრო ინტერვენციის გზას დაადგა და უხეშად დაარღვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება და საერთაშორისო სამართლის ელემენტარული ნორმები. ისრაელის მმართველი წრეები, რომლებსაც აქეზებენ დასავლეთის იმპერიალისტები და უწინარეს ყოვლისა ამერიკის იმპერიალიზმი, უგულებელყოფენ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს, განაგრძობენ დამპყრობლურ მოქმედებას არაბული აღმოსავლეთის სუვერენულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ. ამ აგრესიის მიზანია ძირი გამოუთხაროს და დაანგრიოს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიისა და სხვა არაბული ქვეყნების წყობილება, დაუბრუნოს ისინი ჩაგრულ ხალხთა მდგომარეობას.

ომი, რომელიც ისრაელმა იმპერიალისტებმა გააჩაღეს, მიმართულია დემოკრატიისა და პროგრესის წინააღმდეგ, მან შეიძლება საფრთხე შეუქმნას საყოველთაო მშვიდობასა და ხალხთა უშიშროებას.

საბჭოთა ადამიანები გულისწყრომით გმობენ ისრაელის მხედრიონსა და დასავლეთის სახელმწიფოთა იმპერიალისტურ წრეებს, რომლებიც მას აქეზებენ, და კიდევ ერთხელ აცხადებენ, რომ სავსებით უჭერენ მხარს არაბ ხალხთა სამართლიან ბრძოლას თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის. ისინი მოითხოვენ დაუყოვნებლივ შეწყდეს აგრესია და ისრაელმა დამპყრობლებმა გაიყვანონ ჯარები არაბულ სახელმწიფოთა ტერიტორიიდან დაზავების ხაზს იქით.

საბჭოთა მშრომელები გამოთქვამენ რწმენას, რომ არაბული აღმოსავლეთის თავისუფლებისმოყვარე ხალხები დაიცავენ თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს.

არაბ ხალხთა სამართლიანი საქმე გაიმარჯვებს!

საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭო

საერთაშორისო ცხოვრება

ხელები შორს არაბული ქვეყნებისაგან!

ჩვენი რესპუბლიკის საწარმო - დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ამ დღეებში იმართება ხალხმრავალი მიტინგები, რომელთა მონაწილენი მრისხანე გულისწყრომასა და აღშფოთებას გამოთქვამენ ისრაელის აგრესიის გამო.

— ისრაელის მეშვეობით ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტები ცდილობენ აღადგინონ კოლონიალიზმი ახლო აღმოსავლეთში. მათ სურთ ძირი გამოუთხარონ არაბ ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობას. მაგრამ ისტორიის ჩარხს უკუღმა ვერ დაატრიალებენ! — თქვა თბილისის სავაგონო დეპოში გამართულ მიტინგზე დეპოს უფროსმა გ. წერეთელმა.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს სატვირთო ვაგონების ასაწყობი საამქროს უფროსმა ოსტატმა ვ. მარტოლეკმა, კომუნისტური შრომის დამკვრელმა გამყოლმა ა. კალაშნიკოვმა, უფროსმა ინჟინერმა ს. აგაქოვამ, კადრების განყოფილების უფროსმა ვ. ბაკურაძემ და სავაგონო დეპოს პარტიული კომიტეტის მდივანმა გ. კაკაჩიამ, ორატორებმა მთელი კოლექტივის სახელით მტკიცე პროტესტი განაცხადეს ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ, მხურვალედ მოიწონეს საბჭოთა მთავრობის მოქმედება, ძმური სოლიდარობა გამოუცხადეს არაბული ქვეყნების ხალხებს, ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტებისა და მთავრობების განცხადებას ახლო აღმოსავლეთის ამბების გამო.

„მთლიანად ვუჭერთ მხარს საბჭოთა მთავრობის პოლიტიკასა და მოქმედებას, რომელთა მიზანია ყოველნაირად შეუწყოთ ხელი არაბ ხალხებს. მთლიანად ვუჭერთ მხარს სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტებისა და მთავრობების განცხადებას. გაეცალეთ არაბულ სახელმწიფოებს! სირცხვილი აგრესორებს, რომლებმაც გააჩაღეს ომი ახლო აღმოსავლეთში!“ — ხაზგასმით აღნიშნეს თბილისის სალოკომოტივო დეპოს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა მიტინგზე ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში.

თბილისის № 7 პურის ქარხანაში გამართული მიტინგი გახსნა მთავარმა ინჟინერმა ზ. კამკამიძემ, რომელმაც თქვა, რომ საბჭოთა ადამიანები დაძაბული ყურადღებითა და შეშფოთებით ადევნებენ თვალს ახლო აღმოსავლეთის ამბებს. ისინი გულისწყრომით გმობენ ისრაელის აგრესიულ მოქმედებას არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, სოლიდარობას უცხადებენ არაბული აღმოსავლეთის ხალხთა ბრძოლას.

ექსპედიტორმა ვ. ქსოვრელმა, მოწინავე მუშამ დ. მიქელაძემ, ცეხლფარეშმა ტ. პუშტარიოვმა, ცვლის უფროსმა გ. მაისურაძემ, დისპეტჩერმა ა. მალხაზოვმა მიტინგზე განაცხადეს, რომ საწარმოს კოლექტივი სავსებით უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, რომლის მიზანია არაბულ სახელმწიფოთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვა, მშვიდობის აღდგენა ახლო აღმოსავლეთში.

ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგი გაიმართა კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“.

— საბჭოთა ადამიანები დაძაბული ყურადღებით ადევნებენ თვალყურს ახლო აღმოსავლეთის ამბებს, — თქვა მიტინგის გახსნისას საწარმოს საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ჯორბენაძემ. — ისინი გულისწყრომით გმობენ ისრაელის აგრესიულ მოქმედებას არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ, სოლიდარობით ეკიდებიან მათი ხალხების ბრძოლას.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში მიტინგის მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ ისრაელმა დაუყოვნებლივ გაიყვანოს ჯარები არაბული ქვეყნების ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

თბილისის ქარხანა „ელექტროგამზომში“ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, რომლის მიზანია დაიცვას არაბულ სახელმწიფოთა თავისუფლება და დამოუკიდებლობა და დაამყაროს მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში, ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ქარხნის დირექტორმა გ. დევდარიანმა, პარტბიუროს მდივანმა გ. კაიშაურმა, საამწყობო საამქროს ოსტატმა ი. ლობოდამ, გალვანური საამქროს უფროსმა ა. ჯინჭარაძემ, მუშა კ. ტოჩილინმა, საინსტრუმენტო საამქროს მრანდავმა გ. მელქონიანმა.

ისრაელის დანაშაულებრივი აგრესიის წინააღმდეგ საპროტესტო მიტინგები გაიმართა აფხაზეთის სამრეწველო საწარმოებში. სოხუმის ხელსაწყოთსამშენებლო ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ცქიტიშვილმა გულისწყრომით აღნიშნა ისრაელის აგრესიული მოქმედება, რომელმაც გააჩაღა ომის ცეცხლი ახლო აღმოსავლეთში.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს მეინსტრუმენტე მუშამ პ. იანუსმა, ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსმა ვ. უბირიამ, რომლებმაც მოიწონეს საბჭოთა მთავრობის განცხადება ისრაელის აგრესიის გამო.

ხალხმრავალი მიტინგები გაიმართა აგრეთვე საკონდიტრო და საქსოვ ფაბრიკებში, ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში, ტყვარჩელის შახტებში და მშენებლობებზე.

რუსთავის საწარმოებში და მშენებლობებზე იმართება საპროტესტო მიტინგები ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ. რუსთაველები მოითხოვენ მთლიანად აღადგინონ მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში.

ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა ქიმიური კომბინატის აზოტოვანი სასუქის ქარხანაში.

— ისრაელის აგრესია მსოფლიოს ყველა ქვეყნის პატიოსანი ადამიანის გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს. ჩვენ, ისევე როგორც ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი, მოვითხოვთ, რომ ისრაელმა შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებანი, ვიწონებთ სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებას ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ. მოვითხოვთ, რომ ისრაელმა გაიყვანოს ჯარები არაბული ქვეყნების ტერიტორიიდან, განაცხადა მიტინგზე პაერის განაწილების საამქროს მემანქანემ ი. არეშიძემ.

მიღებულ რეზოლუციებში რუსთავის მშრომელები ძმურ სოლიდარობას უცხადებენ არაბ ხალხებს.

სოლიდარობა

კაირო, 12 ივნისი. (საქდესი). აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის მუდმივმა სამდივნომ დღეს მოუწოდა აფრიკა-აზიის სოლიდარობის ყველა ეროვნულ კომიტეტს დაგმონ „აგრესიული და ბარბაროსული მეთოდები“, რომლებსაც იყენებს ისრაელი, რათა „აიძულოს“ არაბი მოსახლეობა წავიდეს ისრაელის ჯარების მიერ ოკუპირებული რაიონებიდან“.

იუგოსლავიამ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა ისრაელთან

ბელგრადი, 13 ივნისი. (საქდესი). ტანიუგის სააგენტო გვატყობინებს, რომ დღეს იუგოსლავიამ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა ისრაელთან.

აღადგინეს დიპლომატიურ ურთიერთობას

კაირო, 12 ივნისი. (საქდესი). არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ და ტუნისმა მიიღეს გადაწყვეტილება აღადგინონ დიპლომატიური ურთიერთობა, განაცხადა ტუნისის ეროვნული კრების თავმჯდომარემ სადოკ მოკადემმა, რომელიც ამჟამად კაიროში იმყოფება, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერთან შეხვედრის შემდეგ.

თურქეთის მთავრობის გადაწყვეტილება

სტამბოლი, 13 ივნისი. (საქდესი). როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება თურქეთის მთავრობამ უარი უთხრა ამერიკის შეერთებულ შტატებს თხოვნაზე დაიცვას მათი ინტერესები ერაყში იმასთან დაკავშირებით, რომ ერაყმა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

პრემია ჩეხოსლოვაკიელ მეცნიერს

პრაღა, 12 ივნისი. (საქდესი). დღეს „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემია გადაეცა თვალსაჩინო ჩეხოსლოვაკიელ მეცნიერ მიკრობიოლოგს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების დეპუტატს, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრს აკადემიკოს ივანე მალეკს.

მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მეცნიერი ი. მალეკი ფართოდაა ცნობილი როგორც საზოგადო მოღვაწე, მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, ფაშისტური ოკუპაციის წლებში წინააღმდეგობის მონაწილე.

საზეიმო ცერემონია გახსნა ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ფ. შორმმა. მან თქვა, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის საიუბილეო წელს პრემიის მინიჭება ჩეხოსლოვაკიელი მეცნიერისათვის ხაზს უსვამს მჭიდრო კავშირს სოციალიზმსა და მეცნიერებას შორის.

გადასცა რა მაღალი ჯილდო, საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა დ. ვ. სკობელცინმა ჩეხოსლოვაკიელ მეცნიერს უსურვა ჯანმრთელობა და წარმატებანი რეაქციისა და ძალადობის, ჩაგვრისა და ომის წინააღმდეგ ძნელ, მაგრამ საპატიო და კაცობრიობისათვის საჭირო ბრძოლაში.

დიდი ინტერესი

მონრეალი, 13 ივნისი. (საქდესი). საბჭოთა პავილიონს მსოფლიო გამოფენაზე „ექსპო-67“ შემატა კიდევ ერთი ექსპონატი — წყალქვეშა ფრთიანი სწრაფმავალი კატარღა „რაკეტა“, რომელსაც უწევენებენ წმინდა ლავრენტის მდინარეზე.

გუშინ კატარღაზე გაიმართა პრეს-კონფერენცია კანადელი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის, რომლებზეც გამოვიდა სსრ კავშირის სექციის კომერციული ცენტრის ხელმძღვანელი დ. ვ. პეტროვი. მან აღნიშნა, რომ კანადაში დიდ ინტერესს იწვევენ კატარღა „რაკეტისა“ და ასეთივე ტიპის სხვა გემებისადმი.

პრეს-კონფერენციის დასასრულს ჟურნალისტებმა გაისეირნეს „რაკეტით“.

პიკასოს სურათი იპოვნეს

ნიუ-იორკი, 12 ივნისი. (საქდესი). დღეს ავსტრალიის პოლიციამ ბრისბენის გარეუბანში გაჩხრიკა ერთ-ერთი სახლი და აღმოაჩინა პიკასოს სურათი „მშვენიერი ჰოლანდიელი ქალი“. ამას ბრისბენიდან იტყობინება ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი.

ავსტრალიაში ყველაზე ძვირფასი სურათი — პ. პიკასოს „მშვენიერი ჰოლანდიელი ქალი“ (იგი შეფასებულია 225 ათას ამერიკულ დოლარად) ბრისბენის კვინსლენდის სურათების გალერეიდან გაიტაცეს 4 ივნისს დამით.

არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები იბრძვიან რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოჭრილი ისრაელის ჯარების წინააღმდეგ. სურათზე: არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ჯარები სალაშქრო გადასვლის დროს.

ფოტო ახალი ამბების სააგენტოსი.

მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში

კაირო, 12 ივნისი. (საქდესი). კაიროს აეროპორტში განახლდა სამგზავრო თვითმფრინავების რეგულარული მოძრაობა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხაზებზე, წერს გაზეთი „ალ-მასა“.

ხვალიდან აეროპორტი გაიხსნება საერთაშორისო რეისებისთვისაც.

ნიუ-იორკი, 13 ივნისი. (საქდესი). უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ ჰანს თაბორმა (დანია) გამოაცხადა, რომ საბჭოს სხდომა, რომელიც გუშინ იყო დანიშნული, გადაიდო და გაგრძელდება კონსულტაციები მისი მოწვევის ახალი თარიღის შესახებ.

დამასკო, 13 ივნისი. (საქდესი). დამასკოში ჩამოდიან ლტოლვილთა პირველი ჯგუფები იმ რაიონებიდან, რომლებიც ისრაელის ჯარებმა დაიკავეს. ძირითადად ესენი არიან ჩვილბავშვიანი დედები და მოხუცები. ქალები გვიამბობენ, თუ როგორ დაიღუპნენ მათი ქმრები, ძმები, მამები, რომლებიც თავიანთ კარმიდამოს იცავდნენ, ან მტრის ზურგში დარჩნენ, რათა განაგრძოთ ბრძოლა. ისრაელის ჯარების მიერ დაკავებული დასახლებული პუნქტების მეტი წილი მოსახლეობა ტოვებს კარმიდამოს და გარბის, რათა თავი დააღწიოს მტრის ტერორს. მათი ეს ნაამბობი, რომელსაც კაცი გულგრილად ვერ მოუსმენს, კიდევ ერთხელ უარყოფს ისრაელის პროპაგანდისა და ისრაელის წარმომადგენელთა მტკიცებას უშიშროების საბჭოში, თითქოს ისრაელს შეეწყვიტოს აგრესია და ასრულებდეს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას.

ერთსულოვანი მხარდაჭერა

დარ-ეს-სალამი, 13 ივნისი. (საქდესი). „საბჭოთა დელეგაცია მზად არის გაიერთიანოს თავისი ღონისძიებანი ყველა დელეგაციასთან, რომლებიც თანახმა არიან იხმარონ კარდინალური ღონისძიებანი, რათა განახორციელონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ,— განაცხადა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ბ. პ. პროკოფიევმა. იგი გამოვიდა გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 24 ქვეყნის კომიტეტის გამსვლელი სესიის სხდომაზე, რომელიც ახლა ტანზანიის დედაქალაქში მიმდინარეობს.

კოლონიალიზმი გამძლეობას იჩენს და ბრძოლა არ დამთავრებულა, აღნიშნა შემდეგ სსრ კავშირის წარმომადგენელმა. რასისტული რეჟიმები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, როდეზიაში, სალაზარის რეჟიმი პორტუგალიაში უგულებელყოფენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს სამხრეთ აფრიკის, ანგოლის, მოზამბიკის ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. ცოტა დახმარებას როდი უწევს იარაღით პორტუგალიას ზოგიერთი იმპერიალისტური სახელმწიფო, და უწინარეს ყოვლისა პორტუგალიის ნატოელი მოკავშირეები, თქვა ბ. პ. პროკოფიევმა.

აღნიშნა რა ამერიკის შეერთებული შტატების ბარბაროსული აგრესია ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ და ის, რომ შეერთებული შტატები და მათი მოკავშირენი ინარჩუნებენ სამხედრო ბაზებს სხვის ტერიტორიებზე, საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია ვიეტნამში კიდევ უფრო წამლავს და ამწვავებს საერთაშორისო ვითარებას.

ბ. პ. პროკოფიევმა ხაზი გაუსვა, რომ აფრიკის ხალხებისათვის განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენენ სამხედრო ბაზები კოლონიური სახელმწიფოებისა, რომლებიც ამ ბაზებს იყენებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, აგრეთვე ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოების წინააღმდეგ. მან განუცხადა სესიის მონაწილეებს, რომ საბჭოთა დელეგაცია, ხელმძღვანელობს რა იმ ხალხთა მხარდაჭერის პრინციპული პოლიტიკით, რომლებიც დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან, მხარს უჭერდა და კვლავაც დაუჭერს მხარს გადაწყვეტილებებს, რომელთა ნამდვილი მიზანია კოლონიური რეჟიმების ლიკვიდაცია.

საშიში პრეტენზიები

ლონდონი, 13 ივნისი. (საქდესი). ისრაელის მისწრაფება შეინარჩუნოს აგრესიის შედეგად ოკუპირებული არაბული ტერიტორიები ხელს არ უწყობს მტკიცე მშვიდობის დამყარებას ახლო აღმოსავლეთში, ნათქვამია გაზეთ „მორნინგ სტარის“ სარედაქციო სტატიაში. ისრაელის მთავრობის მოთხოვნები, ხაზს უსვამს გაზეთი, ემყარება მონაპოვრებს და არა პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის მისწრაფებას, და ამზადებს მომავალი კონფლიქტის ნიადაგს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ვერ დაეთანხმება ისრაელის ტერიტორიულ პრეტენზიებს, რადგან ეს ეწინააღმდეგება მისი წესდების პრინციპებს, წერს გაზეთი.

უცხოეთის პრესის მიხედვით

ისრაელი და მისი წამქეზებლები

ბურჟუაზიული პრესა ახლო აღმოსავლეთის ამბებს სახავს მხოლოდ როგორც ისრაელსა და არაბთა ქვეყნებს შორის ინტერესების შეჯახებას. მაგრამ ასეთი შეხედულება აშკარად ცალმხრივი და ტენდენციურია.

ახლო აღმოსავლეთს უოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა დასავლეთის გეგმებში. არაბული აღმოსავლეთის წილად მოდის ნავთობის მსოფლიო მოპოვების 27 პროცენტი და დაზვერილი მარაგის თითქმის ორი მესამედი. ეს და სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებანი განსაზღვრავენ იმპერიალისტური მონოპოლიების გაძლიერებულ ინტერესს მსოფლიოს ამ რაიონისადმი და მათ მისწრაფებას — ხელი შეუშალონ არაბთა სახელმწიფოების ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებას. სწორედ აქ უნდა ვეძებოთ ახლანდელ დრამატულ მოვლენათა ფესვები. იმპერიალისტური სახელმწიფოები დიდი ხანია განიხილავენ ისრაელს როგორც ძირითად დამკვრელ ძალას ახლო აღმოსავლეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მსოფლიოს ეს რაიონი იმ ღრმა სოციალურ შერყევათა რაიონია, რომელთა შედეგი გახდა არაბთა მთელ რიგ სახელმწიფოებში რევოლუციურ-დემოკრატიული რეჟიმების წარმოშობა. ამ სახელმწიფოებში ეროვნული ეკონომიკის შექმნა არსებითად ბღალავდა უცხოეთის მონოპოლიათა ინტერესებს. ამის პასუხი იყო განუწყვეტელი ცდები შეესუსტებინათ ახლო აღმოსავლეთში დამყარებული პროგრესული რეჟიმები ან ძირი გამოეთხარათ მათთვის ყველა საშუალებისა და მეთოდის გამოყენებით, თვით სამხედრო ინტერვენციამდე.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და დასავლეთში მთელ რიგ სხვა სახელმწიფოთა პრესაში ატეხილი ანტიარაბული კამპანია წინ უძღოდა ისრაელის ახლანდელ თავდასხმას. არაბთა ქვეყნების წინააღმდეგ მუქარის კამპანია ოკეანეგაღმა ახლაც გრძელდება. ომით დამუქრება არ წყდება ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში. მაგალითად, წარმომადგენელთა პალატის გავლენიანმა წევრმა რობერტ საიქსმა აშკარად განაცხადა, „ისრაელს შეუძლია ყველა მომავალი პრობლემა გადაჭრას“ თავის ტერიტორიასთან სინას ნახევარკუნძულისა და მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირის შეერთებით.

პ. სალაძე.

პოსტების განაწილება

ლაგოსი, 13 ივნისი. (საქდესი). აქ გამოაცხადეს შემადგენლობა ნიგერიის ფედერალური აღმასრულებელი საბჭოსი, რომელიც ფაქტიურად შეასრულებს ქვეყნის მთავრობის ფუნქციებს.

საბჭოს თავმჯდომარე გენერალ-მაიორი იაკუბუ გოვონი სათავეში ჩაუდგება უწყებას, რომელიც თავდაცვისა და საგარეო საქმეთა საკითხებს განაგებს. ნიგერიის ფედერალური აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ობაფემი ავოლოვო განაგებს ფინანსების პრობლემას. შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება პოლიციის გენერალურ ინსპექტორს კამ სალემს.

სულ ფედერალური აღმასრულებელი საბჭოს შემადგენლობაში შედის 18 კაცი — 12 სამოქალაქო პირი და არმიისა და პოლიციის 6 წარმომადგენელი.

ინგლისის ხომალდები კეიპტაუნში

ნიუ-იორკი, 13 ივნისი. (საქდესი). გუშინ სამხრეთ აფრიკის კეიპტაუნის ნავსადგურში შევიდა ინგლისის სამხედრო ხომალდების ჯგუფი. როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშენლის სააგენტოს კორესპონდენტი კეიპტაუნიდან იტყობინება, ამ ჯგუფის შემადგენლობაში შედის საესკადრო ნაღმოსანი — რაკეტმზიდი „კენტი“, ფრეგატი „არეტუზა“ და მაშველი გემი „სმინტუსი“.

ხელი მოაწერეს სსრ კავშირ-თურქეთის კონტრაქტს

სტამბოლი, 13 ივნისი. (საქდესი). ანკარაში ხელი მოაწერეს კონტრაქტს, რომლის შესაბამისად საბჭოთა კავშირმა ტექნიკური დახმარება უნდა გაუწიოს თურქეთს ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მშენებლობაში. წელიწადში ქარხანა გადაამუშავებს 3 მილიონ ტონა ნავთობს. ამ ქარხნის ამუშავების შემდეგ თურქეთი დაიკმაყოფილებს მოთხოვნილებას ნავთობპროდუქტებზე. ქარხანა აშენდება ეგეოსის ზღვის სანაპიროზე ქალაქ იზმირის მახლობლად. საბჭოთა კავშირი მოამზადებს ტექნიკურ პროექტს, მოგაწვდის მოწყობილობასა და მასალებს, გამოგზავნის სპეციალისტებს სამონტაჟო სამუშაოებისათვის. თურქი ტექნიკური მუშაკები პრაქტიკას გაივლიან საბჭოთა ქარხნებში. საბჭოთა სპეციალისტების სამსახურს ქარხნის მშენებლობის დროს თურქეთის მხარე აანაზღაურებს თურქეთის ექსპორტის საქონლით.

ახალი ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა ერთია იმ 7 საწარმოთაგან, რომლებიც უახლოესი წლების მანძილზე აშენდება თურქეთში საბჭოთა კავშირ-თურქეთის შეთანხმების შესაბამისად, რომელსაც მოსკოვში მოაწერეს ხელი 1967 წლის 25 მარტს.

დასავლეთის რამდენიმე ქვეყანამ წინადადება მისცა თურქეთს დახმარებოდა ამ ქარხნის მშენებლობაში, მაგრამ თურქმა სპეციალისტებმა ყველაზე მისაღებად საბჭოთა კავშირის ტექნიკური წინადადება მიიჩნიეს. როგორც ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა სეზგინმა თქვა, იგი ყველაზე უფრო შეესაბამება თურქეთის ეროვნულ ინტერესებს“.

ნატოს საბჭოს სესია

ლუქსემბურგი, 13 ივნისი. (საქდესი). დღეს აქ გაიხსნა ჩრდილო ატლანტიკური კავშირის საბჭოს მორიგი სესია. სესიაში მონაწილეობენ ამ აგრესიული დაჯგუფების წევრი 15 სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრები და სხვა მაღალი თანამდებობის პირები.

წინგადადგმული ნაბიჯი

ლონდონი, 12 ივნისი. (საქდესი). დღეს ნიგერიის ფედერალური მთავრობის შემადგენლობაში შეიყვანეს 11 სამოქალაქო პირი.

ამას იტყობინება რეიტერის სააგენტოს ლაგოსელი კორესპონდენტი, რომელიც აღნიშნავს, რომ ახლა ნიგერიის უმაღლესი მმართველი ორგანო ფედერალური აღმასრულებელი საბჭო. საბჭოს შემადგენლობაში შედიან 12 სამოქალაქო პირი და არმიისა და პოლიციის 6 წარმომადგენელი. საბჭოს თავმჯდომარეა გენერალ-მაიორი იაკუბუ გოვონი, მისი მოადგილეა დასავლეთის შტატის სამოქალაქო ხელმძღვანელი აბაფემი ავოლოვო.

დღეს ფედერალური აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა იაკუბუ გოვონმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოს შექმნა „წინგადადგმული ნაბიჯია ნიგერიაში სამოქალაქო მართვა-გამგეობის აღდგენის გზაზე“.

ხუნვეიბინების ანტისაბჭოთა გამოხდომები გრძელდება

არ წყდება პროვოკაციები სსრ კავშირის პეკინის საელჩოსთან და ხუნვეიბინების მტრული გამოხდომები საბჭოთა დიპლომატების მიმართ. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 13 ივნისს პროტესტი განუცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს და მოსთხოვა ჩინეთს განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საჭირო პირობებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის წარმომადგენელთა ნორმალური მუშაობისა და უშიშროებისათვის. მთელი პასუხისმგებლობა იმ შედეგებისათვის, რომლებიც გამოიწვია უხამსმა საქციელმა ჩინეთში სსრ კავშირის საელჩოს მიმართ, მთლიანად ჩინეთის მხარეს ეკისრება.

ჩინეთის ამბები

ჩინეთის პრესაში გამოქვეყნდა დადგენილება შანხაის „რევოლუციური კომიტეტისა“, რომელიც ოთხი თვის წინათ შეიქმნა ხელისუფლების კონსტიტუციური ორგანოს — შანხაის სახალხო კომიტეტის ნაცვლად. დადგენილებაში ამტკიცებენ, რომ მას შემდეგ, რაც ქალაქში ძალაუფლება „სამი მხარის შეერთებული ძალების“ (ხუნვეიბინებისა და ძაოფანების, არმიის წარმომადგენლებისა და კადრის მუშაკების, რომლებიც მხარს უჭერენ მაო ძე-დუნს) ხელში გადავიდა, შანხაიში თითქოს შეიქმნა „საუცხოო ვითარება“ და ქალაქის წინაშე დაისახა „ნათელი მომავალი“.

მაგრამ დადგენილების შინაარსი და დირექტიული მითითებანი, რომლებსაც იგი შეიცავს, არ ადასტურებენ ამ ოპტიმისტურ დასკვნას.

დადგენილებაში ლაპარაკია საწარმოებზე, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე, სადაც ჯერ კიდევ „საჭიროა ძალაუფლების ხელში ჩაგდება“. აღნიშნულია, რომ „ამჟამად“ მასებისა და კადრების ნაწილი ჯერ კიდევ არ შეერთებია არც ერთ ორგანიზაციას, რომელიც მაო ძე-დუნის მომხრეებმა შექმნეს და რომ ხალხის მასების ერთი ნაწილი ამჯობინებს „კონსერვატიულ ორგანიზაციებში“ დარჩეს.

შანხაის ახალი კომიტეტი არსებითად აღიარებს, რომ მაო ძე-დუნის მოწინააღმდეგენი კვლავ ინარჩუნებენ სერიოზულ პოზიციებს ქალაქში. კომიტეტი მოითხოვს „მთლიანად გაწმინდონ შანხაის ცხოვრების ყველა სფერო იმ დიდი პიროვნების გამხრწნელი გავლენისაგან, რომელიც ხელისუფლების სათავეში დგას პარტიის შიგნით და კაპიტალისტური გზით მიდის“ (მხედველობაში ჰყავთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ლიუ შაო-ცი და მისი მომხრეები). დადგენილებაში ნათქვამია, რომ „ცხოვრების ყველა დარგში უნდა დამკვიდრდეს მაო ძე-დუნის იდეათა აბსოლუტური ავტორიტეტი, რათა შეიქმნას შანხაის სრულიად ახალი სახე ყველა სფეროში“. დასახულია აგრეთვე ამოცანა „შანხაის ყველა რაიონში, მაზრაში, უწყებასა და ორგანოში, ხელში ჩაიგდონ ძალაუფლება „სამი მხარის ძალთა გაერთიანების“ საფუძველზე და „რაც შეიძლება მალე“ შექმნან ყველგან ხელისუფლების დროებითი ორგანოები.

დადგენილებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საზოგადოებრივი უშიშროებისა და არმიის ორგანოებს.

აღნიშნავს რა როგორც მიღწევას იმ ფაქტს, რომ შანხაის გარნიზონი მხარს უჭერს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, აგრეთვე ახორციელებს სამხედრო კონტროლს სხვადასხვა დაწესებულებისადმი“, კომიტეტი მოითხოვს, რომ მოსახლეობა თავის მხრივ მხარს უჭერდეს არმიას.

დასასრულ, იმოწმებს რა მაო ძე-დუნის „უახლეს მითითებას იმის შესახებ, რომ კულტურული რევოლუცია შემდეგში აუცილებლად მრავალგზის განხორციელდება, შანხაის კომიტეტი იმუქრება, რომ მაო ძე-დუნის ეს სიტყვები „უნდა აღიბეჭდონ მეხსიერებაში“.

ჩინეთიდან მოსული ცნობები მოწმობენ, რომ „კულტურული რევოლუცია“ კვლავ ციებ-ცხელებას იწვევს ქვეყანაში. მთელ რიგ ადგილებში პარტიული და სახელმწიფო კადრები ეყრდნობიან რა მოსახლეობის მხარდაჭერას, წინააღმდეგობას უწევენ მაო ძედუნელებს, ამავე დროს გრძელდება შეტაკებანი თვით ხუნვეიბინებსა და ძაოფანებს შორის. სასურველ შედეგებს არ იძლევა „კულტურული რევოლუციის“ ორგანიზატორთა მოწოდებანი, რომ შეწყვიტონ კინკლაობა. მაგალითად, შანდუნის პროვინციაში, როგორც „რევოლუციური კომიტეტის“ გაზეთი „დაჭუნ ჟიბაო“ იუწყება, გლეხები მიდიან ქალაქში და ხშირად „თავს ესხმიან“, „გარს ერტყმიან და სცემენ“ ხუნვეიბინებს. გაზეთი აღიარებს აგრეთვე, რომ „პასუხისმგებელი პირები ზოგან“ გმობენ და ახშობენ ხუნვეიბინთა მოქმედებას, „რაზმავენ მასებს მათ წინააღმდეგ საბრძოლველად“. პროვინციის „რევოლუციური კომიტეტი“ და შანდუნის სამხედრო ოლქის პოლიტგანყოფილების სარდლობა იძულებული გახდნენ გაევრცელებინათ ერთობლივი ცირკულარი, რომლითაც „აკრძალულია ხუნვეიბინთა და ძაოფანთა „ცემა“.

პრესა იუწყება, რომ ხენანის პროვინციაში ძაოფანთა „მთავარმა სარდლობამ გამოსცა „სასწრაფო ცირკულარი“. პროვინციის პარტიულ და სახალხო კომიტეტებში ხელისუფლების სათავეში მდგომმა პირებმა, ნათქვამია ცირკულარში, კვლავ დაიწყეს შეტევა, კერძოდ „ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის“ წინააღმდეგ. გაზეთი „ხენან ჟიბაო“ იუწყება, რომ ქალაქ ჯენჯოუში მექქვსე საქსოვი ფაბრიკის 1.000-ზე მეტმა მუშამ შეწყვიტა მუშაობა. როგორც გაზეთის ცნობებიდან ჩანს, ფაბრიკაში რამდენიმე შეტაკება მოხდა. ერთ-ერთი შეიარაღებული შეტაკების დროს დაჭრეს 400-ზე მეტი მუშა.

ძიანსუს პროვინციაში, როგორც გაზეთი „სინხუა ჟიბაო“ იუწყება, ამ ბოლო დროს „ხდება ისეთი სერიოზული ამბები, როგორიცაა რკინიგზების, სატრანსპორტო მოწყობილობის, სახელმწიფო ქონების დანგრევა, მატარებლების მიმოსვლის დარღვევა“.

(საქდესი). 13 ივნისი.

ზემო სურათზე: ისრაელის ტანკები იერუსალიმის ქუჩებზე.

ისრაელის ჯარებს არაბი ლტოლვილები გაჰყავთ ღაზას რაიონიდან (სურათზე შუაში).

ამერიკის შეერთებული შტატების მეექვსე ფლოტი მხარს უჭერს ტელავიველ მმართველთა აგრესიულ მოქმედებას. ამერიკის სამხედრო ხომალდი მეწამული ზღვისაკენ მიემართება.

(სურათები ამოღებულია გაზეთ „ლუმანიტედან“).

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებს!

ქვირფასო მეგობრებო! მოგაგონებთ, რომ გაზეთ „კომუნისტზე“ ხელისმოწერა 1967 წლის მეორე ნახევრისათვის გრძელდება. ხელმოწერა მიიღება შეუზღუდველად.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია.

ჩემპიონები, რეკორდები, ქულები

ახლოვდება სპარტაკიადის ფინიში. უკანასკნელი ორი დღე აღინიშნა თვალსაჩინო წარმატებებით, დამყარებულია ახალი რეკორდები.

13 ივნისს შეჯიბრება დაამთავრეს ქართულმა მოჭიდავეებმა. სტარტზე გამოვიდა 8 გუნდი. ძირითადი ბრძოლა თბილისის, ქუთაისისა და გორის გუნდებს შორის წარიმართა. ჩემპიონობის საკითხი ორმა ქულამ გადაწყვიტა. ეს საპატიო ტიტული თბილისელებმა მოიპოვეს (72 ქულა). ქუთაისის გუნდმა 70 ქულით მეორე ადგილი დაიკავა, გორელებმა კი 66 ქულით მესამე ადგილი დაისაკუთრეს.

პირად ასპარეზობაში მეტწილად წარმატება ქუთაისელებსა და გორელებს ხვდათ. მათ სამ-სამი პირველი ადგილი დაიკავეს. აი სპარტაკიადის ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით: უმჩატეს წონაში — ო. მერაბიშვილი (ქუთაისი), მჩატე წონაში — რ. გუჯალოვი (გორი), ქვემსუბუქ წონაში — ი. იმერლიშვილი (გორი), მსუბუქ წონაში — ჯ. ბუთნიაშვილი (თბილისი), ქვესაშუალო წონაში — ვ. გორჩაშვილი (გორი), საშუალო წონაში — ა. მარგველანი (ქუთაისი), ქვემძიმე წონაში — ვ. ქაიხოსროშვილი (ქუთაისი), მძიმე წონაში შ. გულიაშვილი (თბილისი).

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში ფინიში ჰქონდათ თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეებს. განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ფინალური შეხვედრები, რომლებმაც გამოავლინა ახალი ჩემპიონები. თავისუფალ ჭიდაობაში გუნდური წარმატება თბილისის კოლექტივს ხვდა.

საერთოდ მძლეოსნობის უმრავლეს სახეობებში პირველობა თბილისელებს ხვდათ, ამიტომ ისინი გუნდურ ჩათვლაშიც ლიდერები არიან — 22.788 ქულა. აფხაზეთის გუნდს 16.408 ქულით მეორე ადგილი უჭირავს, ქუთაისელები მესამე ადგილზე იმყოფებიან — 15.643 ქულა.

კალათბურთელებს გადამწყვეტი შეხვედრები დღეს ექნებათ. აი წინა მატჩების შედეგები: ქალთა გუნდები — ფოთი-ტყიბული 33:28, ჭიათურა-აჭარა 40:48, აფხაზეთი-სამხრეთ ოსეთი 48:27, თბილისი-გორი 84:38, ქუთაისი-რუსთავი 56:65; ვაჟთა გუნდები — აჭარა-ფოთი 50:41, გორი-რუსთავი 58:67, სამხრეთ ოსეთი-ჭიათურა 87:64, ქუთაისი-აფხაზეთი 56:45, ტყიბული- თბილისი 40:147.

თბილისელებს ჩემპიონობის რეალური შანსები აქვთ.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით ჩოგბურთში გუნდური ასპარეზობის შედეგებს. ამის შემდეგ დაიწყო პირადი შეჯიბრება, რომელიც 12 ივნისს დამთავრდა. ქალთა ერთეულების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისელები რ. აბუანდაძე და ა. ივანოვა. წარმატება რ. აბუანდაძეს ხვდა, მან დაამარცხა მეტოქე 6:0, 6:2. ვაჟთა ერთეულებში მეტოქის გამოუცხადებლობის გამო ჩემპიონი გახდა ვ. პერეგუდოვი. ქალთა წყვილებში უძლიერესი იყვნენ ი. ერმოლოვა და ა. ივანოვა, რომლებმაც ფინალში მოუგეს რ. აბუანდაძესა და ნ. თუხარელს 6:2, 6:2. ვაჟთა წყვილებში მეტად მძიმე ბრძოლა ჰქონდათ გ. მუსაელიან-ვ. მეტრეველსა და გ. ახალაძე-ვ. გოგლიძეს. გაიმარჯვეს მუსაელიანმა და მეტრეველმა 8:10, 4:6, 6:3, 6:4, 6:2. შერეულ წყვილებში სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ რ. აბუანდაძე და ვ. პერეგუდოვი.

თბილისის ზამთრის საცურაო აუზში შეჯიბრება დაამთავრეს წყალბურთელებმა. როგორც მოსალოდნელი იყო, წარმატება თბილისელებს ხვდათ. მეორე ადგილზე გამოვიდა აჭარის გუნდი, მესამეზე აფხაზეთის წყალბურთელთა კოლექტივი.

ძალოსანთა ასპარეზობის სტარტზე რეკორდების პირველი მახარობელი იყო დ. შანიძე, რომელმაც აკვრაში სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა, ხოლო სამჭიდში — საქართველოს რეკორდი. მაგრამ წარმატებები ფიცარნაგზე ამით არ დამთავრებულა. მომდევნო წონებში თავი ისახელეს თბილისელებმა რ. გასპარიანმა (ქვესაშუალო წონა) და ო. დემუროვმა (საშუალო წონა). პირველმა ატაცში აჩვენა 126 კილოგრამი, მეორემ ამავე მოძრაობაში 132,5 კილოგრამი. ორივე შედეგი საქართველოს ახალი რეკორდია. ამავე წონებში ჩემპიონობაც მათ ხვდათ. რ. გასპარიანმა სამჭიდში შეაგროვა 395 კილოგრამი, ო. დემუროვმა — 430 კილოგრამი. მსუბუქ წონაში უძლიერესი იყო თბილისელი რ. ოვანესიანი — 360 კილოგრამი.

შეჯიბრება დაამთავრეს მოფარიკავეებმა. რაპირისტ ქალთა შორის ჯ. გიორგაძემ ფინალში სძლია ლ. კოხრეიძეს 4:2 და პირველი ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ ჩვენი რესპუბლიკის სპარტაკიადის ჩემპიონი ჯ. გიორგაძე სსრ კავშირის ხალხთა სამივე სპარტაკიადის მონაწილეა. რაპირისტ ვაჟებში დაუმარცხებლად ჩემპიონი გახდა თბილისელი ი. ოსიპოვი. ხმლით მოფარიკავეთა შორის წარმატება მ. სახვაძეს ხვდა. გუნდურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავეს თბილისელებმა.

მოჭადრაკეებმა საათები გააჩერეს, დაამთავრეს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრები. როგორც მოსალოდნელი იყო, წარმატება თბილისელებმა მოიპოვეს.

ველოშეჯიბრებაში ჩემპიონები გახდნენ გიტში ადგილებიდან 1.000 მეტრზე ვაჟთათვის — თბილისელი ე. მელქოვი, ინდივიდუალურ რბოლაში გამოდევნებით 3 კილომეტრზე ქალთათვის — თბილისელი ლ. სტაშევსკაია, გუნდურ რბოლაში გამოდევნებით 4 კილომეტრზე ვაჟთათვის — თბილისის გუნდი.

სპარტაკიადა გრძელდება.

ნ. ხიმშიაშვილი,
ვ. გიაძე.

სურათებზე: საქართველოს საიუბილეო სპარტაკიადის ჩემპიონები (ზემოდან) — ვ. ქუთათელაძე (100 მეტრზე რბენა) და დ. შანიძე (ძალოსნობა, ქვემსუბუქი წონა).

ფოტო მ. ზარგარიანისა.

გუნდები და შედეგები

სპარტაკიადის 15 სახეობაში დამთავრებული შეჯიბრების შედეგების მიხედვით 14 ივნისისათვის გუნდების მდგომარეობა ასეთია:

თბილისის გუნდი — 166 ქულა, აფხაზეთი — 131,5 ქულა, ქუთაისი — 120 ქულა, აჭარა — 112,5 ქულა, რუსთავი — 80 ქულა, ფოთი — 72 ქულა, სამხრეთ ოსეთი — 38 ქულა, გორი — 32 ქულა, ტყიბული — 24 ქულა, ჭიათურა — 3 ქულა.

აფეთქება მდინარე მოსკოვის ქვეშ

მოსკოვის მეტროპოლიტენის მშენებლებს მერვედ გაჰყავთ ტრასა მდინარე მოსკოვის ქვეშ. სადგურ „ნოვოკუზნეცკიდან“ ვ. კალაბუხოვის, ვ. ტრეტიაკოვის, მ. ცვეტკოვისა და ი. მოროზოვის ბრიგადებმა ნოგინის მოედნის მხარეს უკვე გაიყვანეს გვირაბის დიდი ნაწილი და რამდენიმე დღის შემდეგ მარცხენა ნაპირზე გავლენ.

...აფეთქებამ სანგრევში კუბური მეტრობით ქვიანი მიწა ჩამოანგრია. ქანსატვირთავის მახიურმა ციცხვმა, რომელიც ნახევარ ტონა გრუნტს იტევს, ამოღებული მიწა გადაისროლა ტრანსპორტიორის ლენტზე. ბეტონდამდების რკინის ხელი ადვილად სწევს 500 ტონიან ტიუბინგებს და მჭიდროდ აკრავს მათ გვირაბის კედელს. გვირაბგამყვანები ტიუბინგებს ამაგრებენ ჭანჭიკებით და უკვე მზადაა გვირაბის მორიგი რგოლი. ძნელ პირობებში გაჰყავთ მეტრომშენებლებს ახალი ტრასა. ცვლაში გაჰყავთ არა უმეტეს ერთნახევარი-ორი მეტრისა.

— ყველაფერი გრუნტზეა დამოკიდებული, — ამბობს უბნის უფროსი ა. მუხონკინი. — კირქვა მაგარი ქანია, ფარით ვერ გაანგრევ. ამიტომ ვაფეთქებთ.

გეოლოგმზვერავთა პროგნოზებით, ორასი მეტრის შემდეგ გვირაბგამყვანებს შეხვდება მძლავრი წყლიანი შრე. უოველ საათში სანგრევში დაგროვდება სულ ცოტა ორასი კუბური მეტრი წყალი. მაშინ იქ დაიდგმება მძლავრი ტუმბოები, გვირაბგამყვანები სპეცტანსაცმლის ზემოდან ჩაიცვამენ რეზინის კოსტიუმებსა და დაიხურავენ მუზარადებს. ბეტონის თაღებქვეშ კვლავ დაიწყება აფეთქება.

საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავისათვის მეტრომშენებლებმა გადაწყვიტეს ამ ხაზზე დაამთავრონ გვირაბების გაყვანა „ოქტომბერსა“ და „ნოვოკუზნეცკის“ სადგურებს შორის, ქალაქის ცენტრისაკენ გაიყვანონ 1.200 მეტრი გვირაბი და დაამთავრონ ყველა კონსტრუქციის აგება „ნოვოკუზნეცკის“ ახალ სადგურში.

სულ ორი კილომეტრითაა დაშორებული „ნოვოკუზნეცკი“ ნოგინის მოედნიდან. ცისფერი ექსპრესები ამ მანძილს რამდენიმე წუთში გაირბენენ, გვირაბგამყვანებს კი მიწისქვეშ ამ მანძილის გასავლელად წელიწადნახევარი დასჭირდებათ.

ვ. ნოვიკოვი,
საკდესის კორ.

მოსკოვი.

სურათზე: მსოფლიოს ჩემპიონი კალათბურთში სსრ კავშირის ნაკრები (მარჯვნიდან მარცხნივ): კაპიტანი გ. ვოლნოვი, ი. სელიხოვი, ზ. საკანდელიძე, ა. ტრავინი, ს. ბელოვი, მ. პაულაუსკასი, გ. ჩეჩურა, პ. ტომსონი, ი. ლიპსო, ა. პოლივოდა, რ. ნესტეროვი, ვ. ანდრეევი.

მოძმე ქვეყნის ერთი მუჭა მიწა

დნეპროძერჟინსკი. 1943 წლის შემოდგომაზე დნეპროძერჟინსკის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაიღუპა მზიური საქართველოს შვილი ჯარისკაცი გრიგოლ კობეძეშვილი. ქალაქის მცხოვრებლებმა პატივით დაასაფლავეს იგი. მშობლებს კი უგზოუკვლოდ დაკარგული ეგონათ.

ამას წინათ ადგილობრივი № 18 სკოლის მოსწავლეებმა გადაწყვიტეს მოეძებნათ გმირის ნათესავები. საქართველოში გაგზავნეს წერილები. ერთ-ერთი მათგანი დნეპროძერჟინსკში იწვევდა მებრძოლის ძმებს — ქუთაისის ავტოქარხნის მუშებს შალვა და ბიჭიკო კობეძეშვილებსა და ბიჭიკოს ცოლს — ქუთაისის ერთ-ერთი ფაბრიკის მუშას ეთერ ჯოხაძეს.

დნეპროძერჟინსკში სტუმრები მივიდნენ სკოლაში, მოსწავლეებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. ჯარისკაცის საფლავს დააყარეს საქართველოდან ჩამოტანილი ერთი მუჭა მიწა და თან წაიღეს მოძმე ხალხების სისხლით მორწყული უკრაინული ერთი მუჭა მიწა.

(საკდესი).

მარჯვე გასროლით

ვანი. (საკ. კორ.). სოფელ ძულუხის მოსახლეობას დიდ ზარალს აყენებდა დათვი. იგი ისე გათამამდა, რომ დღისითაც მოსვენებას არ აძლევდა საძოვრად გაშვებულ პირუტყვს.

მწყემსი რ. ხურციძე ჩაუსაფრდა მხეცს და მარჯვე გასროლით ძირს დასცა.

გულადმა მონადირემ თანასოფლელთა მადლობა დაიმსახურა.

საიუბილეო წლის სიახლენი

△ თერჯოლა. (საკ. კორ.). ქვედა სიმონეთში გეოლოგებმა აღმოაჩინეს ცხელი სამკურნალო წყაროები, რომელთა ტემპერატურა 44 გრადუსია. სპეციალისტების აზრით, სიმონეთის წყაროები მენჯისა და ცაიშის წყლების თვისებებისაა, კურნავენ რევმატიზმს, რადიკულიტს, ეგზემას, ჰიპერტონიული წარმოშობის თავის ტკივილს, მხედველობის დაქვეითებას.

კურორტს აქვს კეთილმოწყობილი სააბაზანოები, 28-საწოლიანი ბინა, დამსვენებლებს მკურნალობენ გამოცდილი ექიმები.

△ ტყვარჩელი. აქ გაიხსნა სახალხო მუზეუმი. მასში გამოფენილია ექსპონატები, რომლებიც ასახავენ ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს აღმოჩენისა და დამუშავების ისტორიას, მეშახტეთა შრომას, ქალაქის ზრდას. (პ. ბარქაია).

△ გორი. მოეწყო სპარტაკიადა, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

სპარტაკიადაზე შესრულდა ქალაქის სკოლების მოსწავლეთა მასობრივი თავისუფალი ვარჯიში. პედაგოგიური ინსტიტუტისა და ბავშვთა სპორტული სკოლების სპორტსმენებმა მოაწყეს საჩვენებელი ტანვარჯიშული გამოსვლა. (რ. სამადაშვილი.).

ხელოვნების ქრონიკა

ჭიათურის თეატრი ქუთაისში

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქუთაისს საგასტროლოდ ეწვია ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივი.

ჭიათურელებმა ქუთაისელ მაყურებელს უჩვენეს თავიანთი საუკეთესო დადგმები: გ. ხუხაშვილის „ცხოვრება კაცისა“, ვ. ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია“, დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, თ. ანდრონიკაშვილის „სასტუმრო მთაში“, შ. როყვას „დედა“, ვ. პატარაიას „მდინარის მოტაცება“ და პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“.

თეატრმა გასვლითი სპექტაკლები გამართა აგრეთვე წყალტუბოში, წულუკიძესა და მაიაკოვსკში.

სახალხო თეატრის დადგმა

ზესტაფონი. (საკ. კორ). ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის სახალხო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ფლეტჩერის კომედია „როგორ მოვარჯულოთ ცოლი“. სპექტაკლი დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა რ. აბესაძემ, მხატვრულად გააფორმა ჯ. კახნიაშვილმა, მუსიკა ეკუთვნის ბ. შალამბერიძეს.

მთავარ როლებს ასრულებენ ე. ბეჟუაშვილი, რ. აბესაძე, ლ. თავაძე, ა. სოფრომაძე, ა. გუმბერიძე, ნ. ჭანკვეტაძე.

„უბაჩამ დაიგვიანა“

მახარაძე. (საკ. კორ.). სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ახალი სპექტაკლი ლ. ცაგარეიშვილის „უბაჩამ დაიგვიანა“ (მ. ჯავახიშვილის ნაწარმოების მიხედვით).

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის რეჟისორ თ. შონიას, მხატვრობა შ. დარჩიას, მუსიკა ნ. ძნელაძეს. როლების საუკეთესო შესრულებით მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს მსახიობებმა ვლ. დოლიძემ, ლ. თურმანიძემ, ე. მუჩიაურმა, ა. ქადეიშვილმა.

ტურნირები მოსკოვსა და ლენინგრადში

ლ. შტეინი ლიდერობას ინარჩუნებს

მოსკოვის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გათამაშდა თხუთმეტი ტური. ფინიშამდე ორი ტურიღა დარჩა, მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი როდია ცხადი.

გუშინ შეჯიბრების მონაწილენი ისვენებდნენ, 12 ივნისს კი მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. გათამაშდა აგრეთვე გამოტოვებული პარტია ტალსა და პორტიშს შორის. სსრ კავშირის ჩემპიონმა შტეინმა ვერ გამოიყენა თვალსაჩინო უპირატესობა გელერთან გადადებულ პარტიაში და ყაიმს დასჯერდა. ბობოცოვმა დაამარცხა გლიგორიჩი.

ტალისა და პორტიშის გამოტოვებულ პარტიაში ტალმა უხეში შეცდომა დაუშვა და 24-ე სვლაზე დანებდა მეტოქეს.

თხუთმეტი ტურის შემდეგ ლ. შტეინს 9.5 ქულა აქვს, ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან დ. ბრონშტეინი, მ. ბობოცოვი და ა. გიპსლისი. ა. გიპსლისს საერთაშორისო გროსმაისტერის წოდების მოსაპოვებლად უკანასკნელ ორ ტურში მხოლოდ ნახევარი ქულა სჭირდება.

დღეს გაიმართება უკანასკნელისწინა, მეთექვსმეტე ტური.

ვ. კორჩნოის წარმატება

ლენინგრადის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე 12 ივნისს მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. შამკოვიჩი და ტრინგოვი მცირე ბრძოლის შემდეგ ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგით დამთავრდა ფუქსგუფელდის პარტია.

16 ტურის შემდეგ ლიდერია ვ. კორჩნოი, რომელსაც 12 ქულა აქვს. რ. ხოლმოვი ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება. ათ-ათი ქულა აქვთ ბ. ბარცასა და მ. ტაიმანოვს. ე. გუფელდს 9,5 ქულა აქვს.

კიევის ტურნირის ფინიში

კიევში დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში ქალთათვის. უკანასკნელი მეთხუთმეტე ტურის შედეგებს მეტოქეთათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადგილების საბოლოო განაწილებისათვის.

ანდრეევა-გაფრინდაშვილის პარტიაში მსოფლიოს ჩემპიონი არ ცდილა ბრძოლის გამწვავებას, რადგან მას პირველობა უკვე განაღდებული ჰქონდა და მოწინაამდეგეს ყაიმზე შეუთანხმდა. ასეთივე შედეგით დამთავრდა ერეტოვა-ნიკოლაუს პარტია. ზვორიკინამ კომბინაციური გართულებებით ხელში იგდო ინიციატივა და მოუგო ქივკოვიჩს.

სსრ კავშირის ჩემპიონმა ალექსანდრიამ, რომელსაც გარკვეული უპირატესობა ჰქონდა კოზლოვსკაიას წინააღმდეგ, შეცდომა დაუშვა და ფიგურა დაკარგა. მცირე წინააღმდეგობის შემდეგ ალექსანდრია დანებდა. ასენოვამ მოუგო ჰეემსკერკს, მედიანიკოვამ — ხუნგანას, კისლოვამ — ნოვარას.

ამრიგად, ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა ნ. გაფრინდაშვილმა — 11 ქულა. ვ. კოზლოვსკაია 10 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდა. მესამე და მეოთხე ადგილები გაიყვეს ა. ნიკოლაუმ (რუმინეთი) და ო. ანდრეევამ — ცხრანახევარ-ცხრანახევარი ქულა. მეხუთე და მეექვსე ადგილები დაიკავეს ე. ბილეკმა (უნგრეთი) და კ. ზვორიკინამ — რვანახევარ-რვანახევარი ქულა. მეშვიდე ადგილზეა ა. კისლოვა—8 ქულა, მერვეზე — ნ. ალექსანდრია — 7,5 ქულა, მეცხრეზე — ვ. ნოვარა (გდრ) — 7 ქულა, მეათეზე — კ. ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია) — 6 ქულა, მეთერთმეტეზე — ნ. მედიანიკოვა — 5 ქულა, მეთორმეტეზე — ლ. ხუნგანა (მონღოლეთი) — 4,5 ქულა, მეცამეტე და მეთოთხმეტე ადგილები გაიყვეს ლ. იოქსიჩ-ქივკოვიჩმა (იუგოსლავია) და ვ. ასენოვამ (ბულგარეთი) — ოთხ-ოთხი ქულა. უკანასკნელი მეთხუთმეტე ადგილი დაიკავა ფ. ჰეემსკერკმა (ჰოლანდია) — 2 ქულა.

ორი მატჩი

საკავშირო ჩემპიონატზე დამთავრდა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა კოლექტივების ორკვირიანი „არდადეგები“. ეს შესვენება გამოწვეული იყო სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მზადებით ევროპის პირველობისა და მონრეალის ტურნირისათვის, აგრეთვე საკლუბო გუნდების საზღვარგარეთ გამგზავრებით.

გუშინ ბრძოლა განახლდა.

სსრ კავშირის ჩემპიონს კიევის „დინამოს“ საკუთარ მოედანზე მატჩი ჰქონდა ლუგანსკის „ზარიასთან“. მეორე ტაიმში სერებრიანიკოვმა და ბიშევეცმა 2 ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში. გაიმარჯვეს დინამოელებმა 2:0.

მოსკოვში თამაშობდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივისა“ და ერევნის „არარატის“ გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა ერევნელთა გამარჯვებით 1:0.

„ბ“ კლასის მეოთხე ზონაში

გაიმართა ფეხბურთში „ბ“ კლასის მეოთხე ზონის გუნდების საკავშირო ტურნირის მატჩები. აი მათი შედეგები:

„დილა“ (გორი)-„ენგური“ (ზუგდიდი) 5:0, „მაღაროელი“ (ჭიათურა)-„გურია“ (ლანჩხუთი) 2:3, „დინამო“ (მახაჩყალა)-„შუქურა“ (ქობულეთი) 2:2, „უროჟაი“ (დარუბანდი)-„კოლხეთი“ (ფოთი) 3:0, „მაშინოსტროიტელი“ (პიატიგორსკი)-„დინამო“ (სოხუმი) 3:2, „ლორი“ (კიროვაკანი)-„მეტალურგი“ (რუსთავი) 3:0.

წარუმატებლობა გასვლით თამაშებში

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს „ა“ კლასის მეორე ჯგუფში ბათუმის „დინამოსა“ და ტყიბულის „მეშახტის“ გუნდებს საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები კრასნოდარსა და სტავროპოლში ჰქონდათ.

ბათუმის დინამოელები დამარცხდნენ კრასნოდარის „კუბანთან“ მატჩში 0:1, ხოლო სტავროპოლის დინამოელებმა მოუგეს ტყიბულის „მეშახტეს“ 2:0.

დამსახურებული წარმატება

შთაბეჭდილებები ირაკლი ოჩიაურის ნამუშევართა გამოფენაზე

საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ხელოვნების სახლში ჭედური ხელოვნების მოყვარულთ მთელი ერთი თვის მანძილზე შეეძლოთ ენახათ რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის ირაკლი ოჩიაურის ნაწარმოებთა გამოფენა, რომელმაც თავიდანვე დიდი ინტერესი გამოიწვია.

ი. ოჩიაურის შემოქმედების მასშტაბი ვრცელია. იგი მოიცავს ფერწერას, გრაფიკას, ქანდაკებას და მხატვრულ ჭედურობას.

ამ მრავალმხრივი ნიჭიერი შემოქმედის ყოველი ქმნილება განუმეორებელი თავისთავადობით გამოირჩევა და ამავე დროს მის თითქმის ყველა ქმნილებას აკავშირებს საერთო შინაგანი ძალა და დახვეწილი ოსტატობის მკაფიო კვალი, ემოციური მგზნებარება, მხატვრის ქართული გულის ძარღვთა ჟღერა.

ი. ოჩიაურის შემოქმედებაში ერთმანეთს შერწყმია ჩვენი ეროვნული ხელოვნების ტრადიცია და ახალი ხედვა, მხატვრის ახალი მხატვრული გემოვნება დღევანდელობის ქურაშია გამობრძმედილი.

გამოფენაზე მხატვარს მხოლოდ სამი ფერწერული ტილო აქვს გამოტანილი: „გაზაფხული“, „წითლით შუშპრობა“ და „სამთა ხორუმი“.

„გაზაფხული“, რომელშიც სიმბოლურად კდემამოსილი ქალის შიშველა ტორსია გამოსახული, გამოღვიძებული ბუნების სითბოთი და რბილი ნათელით გვესალბუნება.

მწიფე ბროწეულის გამაში შესრულებული „წითლით შუშპრობა“ ელვარე სიცოცხლის ემოციური ექსპრესიით ხიბლავს მნახველებს.

„სამთა ხორუმს“ ჩვენი ზღვის ზურმუხტოვანი ტალღის ამოძრავების და საამო ფერის სილამაზის ბეჭედი აზის.

ჩანს, მხატვარი კარგად ფლობს პლასტიკური ფერწერის საშუალებებს. ნათელი აზრის შემცველი მისი ფერწერა თავისუფლად და სიამოვნებით აღიქმება.

ი. ოჩიაური წარმატებით მუშაობს დაზგურ გრაფიკაშიც. ამაზე მეტყველებენ მის მიერ აქ წარმოდგენილი საინტერესო გრაფიკული ენით შესრულებული ფურცლები: „ხევსური დედა“ და „მხატვრები“. მათ ჩვენამდე მოაქვთ ის გრძნობა და აზრი, რომელიც ადამიანური ბედნიერებისა და სილამაზის მოტრფიალე მხატვარს ამ ძარღვიან სურათებში ჩაუქსოვია.

საინტერესოა აგრეთვე ი. ოჩიაურის მიერ შესრულებული სხვადასხვა მხატვრული სახის გრაფიკული პორტრეტები.

შოთა რუსთაველის პორტრეტში



მხატვარი აღწევს თავისი ჩანაფიქრის ჭეშმარიტად მონუმენტურ გადაწყვეტას. ვფიქრობთ, რომ ი. ოჩიაური არ შეცდება, თუ ამ პორტრეტს ქანდაკებაში აამეტყველებს.

ასეთია ირაკლი ოჩიაური, როგორც პორტრეტისტი. მაგრამ ისევე როგორც ყოველ მაძიებელ მხატვარს, ირაკლი ოჩიაურსაც ზოგჯერ თავის შემოქმედებაში აქვს ერთგვარი წარუმატებლობა, რასაც აქ ექსპონირებული „ქალიშვილის“ და „გეიდარ ფალავანდიშვილის“, შეიძლება ითქვას, თვითმიზნურად სტილიზებული პორტრეტები საკმაოდ ადასტურებენ. ეს ნამუშევრები ამ მხრივ პრინციპულად განსხვავდებიან ლითონში ნაჭედ ოჩიაურისეულ „ფიროსმანისაგან“, რომელშიც სტილიზაცია ამ თვითნასწავლი და თვითმყოფი ჭეშმარიტად ხალხური ყალმოსანი მგოსნის, გენიალურ პრიმიტივისტის შემოქმედების სიმბოლურ განსახიერებას ემსახურება.

ქანდაკება ი. ოჩიაურისა სისხლსავსეა. სკულპტურული ფორმის სიმშიდე და დახვეწილობა, ძალა და კეთილშობილური უბრალოება, რაც საჭრეთლით გამოკვეთილ „ირინე ჯანდიერის“ ეროვნულ სკულპტურულ პორტრეტს ახასიათებს, თვით ამ ადამიანის შინაგანი სამყაროს არსით არის განპირობებული.

გამოფენას ამშვენებს ირაკლი ოჩიაურის მასწავლებლის იაკობ ნიკოლაძის ხეში გამოკვეთილი ბარელიეფური პორტრეტიც. იგი მცირე ზომისაა, მაგრამ ბევრის შემცველია როგორც ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოები, მასში ვლინდება ის, რაც მთავარი და არსებითია იაკობ ნიკოლაძის პიროვნებაში. ჩვენ ვხედავთ ნათელი აზრის, მაღალი მიზნისა და დაუდგრომელი სულის მქონე შემოქმედს.

მოქანდაკეს მისმა დარბაისლურმა, გარეგნული პათოსისა და ცრუ არტისტიზმისაგან თავისუფალმა შემოქმედებამ დააძლევინა გენიალური პოეტის ვაჟა-ფშაველას სულის მხატვრული ხილვის მეტად რთული ამოცანა.

საგამოფენო კედლებზე ვხედავთ ძარღვმაგარ, მშვენიერ ჭედურფილებს. ი. ოჩიაური ქართული მხატვრული ჭედურობის, ქართული ხელოვნების ამ უძველესი დარგის აღორძინების პიონერი და ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი თანამედროვე ოსტატია.

სისხლსავსე სიცოცხლის ძალა და სილამაზე შერწყმია ერთმანეთს ლითონში ნაჭედ ოჩიაურისეულ ქალთა შიშველ ტანებში. წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ მაყურებელზე აქ გამოფენილი „თამარ მეფის“, „უცნობ ტურფა ზანოვანთა“ და ხევსურული „მადონების“ ქართული სტილის ჭედური პორტრეტები.

ეროვნული ჭედურობის მაღალ ნიმუშებს წარმოადგენენ აგრეთვე ამ გამოფენის ყველაზე დიდი ზომის ექსპონატები „წყარო“ და „ხორუმი“.

ი. ოჩიაური ძლევს იმ დიდ და მეტად სახიფათო სიძნელეს, რომელიც მცირე ზომის ბარელიეფური ჭედვისაგან განსხვავებით მუდამ თან სდევს დიდი ფართის ლითონთა ფაქტურულ დამუშავებას.

ოჩიაურის მიერ ვერცხლში მკაფიოდ და ნატიფად ნაჭედი ხევსური „შეთექალი“ წმინდა და დიადია მსგავსად მთებში მოსულ გარიგრაჟისა, მსგავსად ძველ ქართულ ფრესკებში გამოსახული მიწიერი იერის მქონე ანგელოზისა.

„ვაჟა-ფშაველას“ ჭედური პორტრეტის ორიგინალური პლასტიკური და ექსპრესიული რელიეფი, კომპოზიციის დაძაბული რიტმი და აღნაგობა მთათა მბურავ ღრუბლების ჯარს მოგვაგონებს და ამით დიდი მთიელი მგოსნის მშფოთვარე და უტეხი სულის გამოსახვას აძლიერებს.

ბევრზე მეტყველებს აგრეთვე ი. ოჩიაურის „ხორუმი“ სკულპტურულად მოდელირებული, მეტად პლასტიკური და შინაგანად ენერგიული რელიეფით, მკაფიო სილუეტების თავდაჭერილი დინამიზმით, სადა და მკაცრი რიტმის კომპოზიციით, მისი მთლიანი მხატვრული სახის მონუმენტური სუნთქვითა და მონოლითურობით.

ბევრი შეიძლება ითქვას და დაიწეროს ი. ოჩიაურის ჭედურობის ტექნიკურ და ესთეტიკურ-აზრობრივ ღირსებათა შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ ავითარებს ან რა სახით იყენებს მხატვრული ჭედურობის ეს ძლიერი ოსტატი ქართული ხელოვნების ამ დარგის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს თავის შემოქმედებაში.

მ. თოფურია,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

* * *

სურათებზე: ი. ოჩიაურის ნამუშევრები — ზემოთ — ვაჟა-ფშაველა (მარცხნივ) და „შეთექალა“, ქვემოთ — „ვეფხვები“.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.



ტელევიზია

14 ივნისი

09.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 10.40 — მხატვრული ფილმი „თეთრი, თეთრი ყარყატები“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „ვინ მოიგონა ბორბალი“, 19.20 — გადაცემა — „ლენინური გვარდიის ჯარისკაცები“ — დოკუმენტი მშვენიერაძე, 19.40 — განცხადებები, 19.45 — კინონარკვევი, 19.55 — „ვემზადოთ სპარტაკიადისათვის“ „ველოსპორტი“, 20.15 — კინონარკვევი, 20.25 — „მუსიკალური კალენდარი“, 21.15 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.35 — მხატვრული ფილმი „ბავშვობის მოდგმისა ვარ“.

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა, დასაწყისი დღისით 12 ს., საღამოს 17 ს. 45 წ.

15 ივნისი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი“, 18.10 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „ვიმოგზაუროთ დედამიწის გარშემო“, 19.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე — „დინამო“ თბილისი-სკა როსტოვი, 20.45 — კინონარკვევი, 21.40 — განცხადებები, 21.45 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.05 — მხატვრული ფილმი „თეთრი, თეთრი ყარყატები“.

სად ვისეიროთ, სად დავისვენოთ

თეატრები

14 ივნისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ახალ ნაპირზე (პრემიერა), მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მომავალ შეხვედრამდე.

„დინამოს“ სტადიონი

 აკ. წერეთლის პროსპ. № 2
ტელ. 5-21-62

14 და 15 ივნისს



ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის

სკა — დონის როსტოვი — „დინამო“ თბილისი

14 ივნისს სათადარიგო შემადგენლობანი დასაწყისი 18 საათზე

15 ივნისს ძირითადი შემადგენლობანი, დასაწყისი 19 საათზე.

15 ივნისისათვის ბილეთები აბონემენტებზე წინასწარ გაიყიდება „დინამოს“ სტადიონის სალაროებში 13 და 14 ივნისს 11-დან 19 საათამდე, შესვენება 14-დან 15 საათამდე. ბილეთების საერთო გაყიდვა 15 ივნისს 10 საათიდან.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03. 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24 ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 03277 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.